სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი

თამბაქოსგან თავისუფალ გარემოსთან დაკავშირებით საზოგადოების დამოკიდებულების შესწავლა

თბილისი

2016

შინაარსი

მეთოდოლოგია 3

ძირითადი შედეგები 4

1. დემოგრაფიული მონაცემები 8
2. თამბაქოს მოხმარების გავლენა 12
3. დამოკიდებულება თამბაქოს კონტროლის პოლიტიკის საკითხებისადმი 24
4. საზოგადოებრივი კვების ობიექტებით სარგებლობა და მოსალოდნელი ქცევითი ცვლილებები 38
5. თამბაქოს მოხმარების პრაქტიკა 50
6. კვლევის ინსტრუმენტი 54

მეთოდოლოგია

რაოდენობრივი კვლევის მიზანს წარმოადგენდა თამბაქოსაგან თავისუფალ გარემოსთან დაკავშირებით საზოგადოების დამოკიდებულების შესწავლა.

კვლევის სამიზნე ჯგუფი: საქართველოს მოსახლეობა (18 წლის და მეტი);
შერჩევის ზომა: 1050 რესპონდენტი;
გამოკითხვის მეთოდი: პირისპირ ინტერვიუ;

რეგიონი	ინტერვიუების რ-ბა
აჭარა	93
თბილისი	499
იმერეთი	150
კახეთი	60
სამეგრელო-ზემო სვანეთი	73
სამცხე-ჯავახეთი	30
ქვემო ქართლი	82
შიდა ქართლი	67
ჯამი	**1054**

რეგიონი	ინტერვიუ	სანდოობის დონე (95%)
თბილისი	499	4.4%
რეგიონები	555	4.2%
Total	1054	3.0%

კვლევის მოსამზადებელ ეტაპზე შედგა კითხვარი, მსგავს კვლევებში არსებული კითხვარების საფუძველზე. შემდგომ ეტაპზე განხორციელდა პილოტური კვლევა (10 პირისპირ ინტერვიუ).

საველე სამუშაოები მიმდინარეობდა 15 დღის განმავლობაში, რომელშიც ჩართული იყო 7 სუპერვაიზორიდა 30 ინტერვიუერი (13 ინტერვიუერი - თბილისში). საველე სამუშაოების პარალელურად განხორციელდა საველე სამუშაოების კონტროლი (გაკონტროლდა საერთო რაოდენობის 10%).

მონაცემთა შეტანა და დამუშავება: საველე სამუშაოების კონტროლის დასრულების შემდგომ მოხდა მონაცემების კოდირება და SPSS-ის პროგრამაში (წინასწარ შექმნილ ბადეში) შეყვანა. მონაცემების შეყვანის შემდგომ მოხდა SPSS ფაილის გაწმენდა და მონაცემების შეწონვა და დამუშავება. მონაცემების დამუშავება განხორციელდა სხვადასხვა მეთოდებით, მაგ: მონაცემთა სიხშირული განაწილება, საშუალოების დათვლა, კროსტაბულაცია და ა.შ.

ძირითადი შედეგები

რაოდენობრივი კვლევის მიზანს წარმოადგენდა თამბაქოსაგან თავისუფალი გარემოს მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების შესწავლა. კვლევა ჩატარდა საქართველოს მასშტაბით, 9 რეგიონში (ოკუპირებული ტერიტორიების გარდა), სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა საქართველოს მოსახლეობა (18 წლის და მეტი). კვლევის ფარგლებში სულ ჩატარდა 1054 დასრულებული ინტერვიუ. შერჩევის ცდომილებაა 3% (მთელი შერჩევისათვის).

დემოგრაფიული მონაცემების მიხედვით: კვლევაში მონაწილე 1054 რესპონდენტიდან, 46.5% მამრობითი, ხოლო 53.5% მდედრობითი სქესისაა. ყველა ასაკობრივი კატეგორია დაახლოებით თანაბრადაა გადანაწილებული, უმრავლესობას დაოჯახებული რესპონდენტები წარმოადგენენ (63.4%). განათლების ცენზის მიხედვით, რესპონდენტების უმრავლესობას უმაღლესი (43.3%) ან საშუალო (35.2%) განათლება აქვს. გამოკითხულთაგან დასაქმებული მხოლოდ 38.4%-ია, დიდი ნაწილის ყოველთვიური შემოსავალი კი 501-1000 (24.8%) ან 301-500 (21.1%) ლარით განისაზღვრება. გამოკითხულთა მნიშვნელოვანი ნაწილი აღწერს მათი ოჯახების არასახარბიელო სოციალურ მდგომარეობას.

კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხული რესპონდენტებიდან თამბაქოს მომხმარებელია 30.6%. 14.6% თამბაქოს მომხმარებელი იყო წარსულში, ხოლო 54.8% – არასოდეს ყოფილა თამბაქოს ნაწარმის მომხმარებელი. მწეველებს შორის გაცილებით მეტი მამაკაცია (თითქმის 55%). 322 თამბაქოს მომხმარებელი რესპონდენტიდან, ყოველდღიურად ეწევა 312 (მწეველთა 96.8%; საერთო შერჩევიდან - 29.6%). რესპონდენტების უმეტესობამ ყოველდღიურად მოწევა დაახლოებით 20 წლის წინ დაიწყო. თამბაქოს თითქმის ყველა მომხმარებელი ეწევა სამრეწველო წარმოების სიგარეტს (99.7%). საშუალოდ 1 მწეველი ეწევა 20 ღერს. საქართველოში პრაქტიკულად უმნიშვნელოა ჩიბუხისა და ელექტრონული სიგარეტის მომხმარებლების რაოდენობა.

მწეველი რესპონდენტებიდან 39.7%-ს ჰქონდა თამბაქოს მოწევაზე თავის დანებების მცდელობა ბოლო 12 თვის განმავლობაში, თავშეკავების ყველაზე ხშირად დასახელებული პერიოდი 2 დღეა. იმ 154 რესპონდენტიდან (საერთო შერჩევის 14.6%), ვინც მიუთითა, რომ წარსულში მოიხმარდა თამბაქოს ნაწარმს თამბაქოს მოხმარება საშუალოდ შეწყვიტა 7 წლის წინ. კვლევაში მონაწილე რესპონდენტებს შორის მხოლოდ 3 რესპონდენტი მოიხმარს თამბაქოს რაიმე უკვამლო პროდუქტს.

კვლევაში მონაწილე რესონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა თანხმდება, რომ: 1) საქართველოში თამბაქოს მოხმარება მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს (90.6%) როგორც, ზოგადად, საზოგადოებისთვის, ისე ახალგაზრდებთან მიმართებაში; 2) თამბაქოს მოხმარებას ადამიანისთვის ზიანი მოაქვს (ძალზე ან მეტ-ნაკლებად - 96.1%); 3) თამბაქოს მოხმარება იწვევს მასზე დამოკიდებულების გაჩენას (92.2%); 4) თამბაქოს მომხმარებლების მიერ გამოყოფილი თამბაქოს კვამლის სუნთქვა ძალზე საზიანოა არამწეველების ჯანმრთელობისათვის (87.2%).

რესპონდენტთა მოსაზრებით, თამბაქოს მოხმარების დაწყებას ხელს უწყობს როგორც თამბაქოს რეკლამა (62.9%), ისე მისი პოპულარიზაცია (62.1%) და რეკლამის ისეთი ფორმა, როგორიცაა სავაჭრო ობიექტების დახლებსა და ვიტრინებზე თამბაქოს ნაწარმის ხილული განლაგება (58.4%).

თამბაქოს მოხმარების როგორც <u>დაწყების,</u> ისე <u>გაგრძელების</u> ხელშემწყობად რესპონდენტები მიიჩევენ კიდევ ერთ ფაქტორს: მოწევის დაშვებას კაფე-ბარების, საჯარო დაწესებულებებისა და სხვა საზოგადოებრივ შენობებში (დაახლ. 70- 71%).

რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა სწორ ან მეტ-ნაკლებად სწორ გადაწყვეტილებად მიიჩნევს იმას, რომ რამდენიმე წლის წინ კანონით აიკრძალა თამბაქოს რეკლამა ტელევიზიასა და რადიოში (92.8%) და თამბაქოს მოწევა სამედიცინო და სასწავლო დაწესებულებებში (99.2%).

კვლევის ფარგლებში, რესპონდენტებს უნდა გამოეხატათ საკუთარი პოზიცია დაუჭერდნენ თუ არა მხარს შემდეგ აკრძალვებს (მათი განხორციელების შემთხვევაში):

- *კანონით მოწევის აკრძალვა საჯარო დაწესებულებების შენობებში;*
- *კანონით (და, აგრეთვე, პირადი მოსაზრებიდან გამომდინარე) მოწევის აკრძალვა რესტორნების, კაფეების და სხვა საზოგადოებრივი კვების ობიექტების შენობებში;*
- *კანონით მოწევის აკრძალვა ყველა სახის კულტურული დაწესებულებების, სავაჭრო ობიექტების და სალონების შენობებში;*
- *კანონით მოწევის აკრძალვა ყველა სახის ოფისებში, საწარმოების, ფაბრიკა-ქარხნების და ნებისმიერი სხვა სამუშაო ადგილის შენობებში;*
- *კანონით თამბაქოს რეკლამის და პოპულარიზაციის აკრძალვა.*

ჩამოთვლილი ობიექტებიდან საჯარო და კულტურულ დაწესებულებათა შენობებში, ყველა სახის ოფისებსა და საწარმოთა შენობებში მოწევის აკრძალვის მხარდაჭერა თითქმის აბსოლუტურია და ვარირებს 89 – 92%-ის ფარგლებში. რაც შეეხება მოწევის აკრძალვის მხარდაჭერას რესტორნებში, კაფეებში და საზ.კვების სხვა ობიექტებში, მხარდაჭერის დონე მინიმუმ 79,1%-ია. რეკლამის და პოპულარიზაციის აკრძალვას მხარს 91,8% უჭერს. საერთო ჯამში, საქართველოს მოსახლეობის გამოკვეთილი უმრავლესობა (თითქმის 72%) მხარს უჭერს ყველა ზემოჩამოთვლილ აკრძალვას.

კვლევის ერთ-ერთ მთავარ საგანს წარმოადგენდა საზ.კვების ობიექტებში მოწევის აკრძალვის საკითხი: აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით პირველი შეკითხვა ეხებოდა რესპონდენტების პირად მოსაზრებას უნდა აიკრძალოს თუ არა მოწევა საზ.კვების ობიექტებში. ამ კითხვაზე დადებითი პასუხი 70,5%-მა გასცა, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია, თუმცა როგორც მოსალოდნელი იყო, მასზე კიდევ უფრო მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა მომდევნო კითხვაზე, რომელიც ეხებოდა რესპონდენტთა მხარდაჭერის დონეს იმ შემთხვევაში თუ კანონით აიკრძალება მოწევა საზ.კვების ობიექტებში. ამ კითხვას დადებითი პასუხი 79,1%-მა გასცა, (66% ცალსახა მხარდაჭერა და 13,1% მეტ-ნაკლები მხარდაჭერა). მწეველთა ნახევარი და საზ.კვების ობიექტების კლიენტთა 77.9% უჭერს მხარს ამ შესაძლო ცვლილებას. აღნიშნული კითხვა განმეორებით დაესვათ იმ რესპონდენტებს, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ აღნიშნულ აკრძალვას დასაწყისში და აღმოჩნდა, რომ მხარდაჭერის დონე ოდნავ გაიზარდა - 2,2%-ით. მომდევნო კითხვით მოხდა საკითხზე კიდევ უფრო ჩაღრმავება კერძოდ, მოსახლეობის მოსალოდნელი რეაქციის შესწავლა საზ.კვების ობიექტების შენობებში მოწევის

სრულად აკრძალვასთან დაკავშირებით. აღმოჩნდა რომ რესპონდენტების 87%-სთვის ამა თუ იმ სახით მისაღები იქნება ეს აკრძალვა და მხოლოდ 7.9%-მა განაცხადა, რომ სავარაუდოდ აკრძალვის შემთხვევაში დისკომფორტის გამო შეამცირებს ვიზიტების ოდენობას ამ დაწესებულებებში.

რესტორნების, კაფეების და სხვა საზოგადოებრივი კვების ობიექტების შენობებში მოწევის <u>აკრძალვის მომხრე</u> (მინიმუმ 79.1% საერთო შერჩევიდან) რესპოდენტების აზრით, აკრძალვა უნდა ამოქმედდეს უახლოეს მომავალში - 6 თვეში (ამ ჯგუფის რესპონდენტების 74.8%) ან 1 წელიწადში (ამ ჯგუფის რესპონდენტების - 14.2%).

რაც შეეხება რესტორნების, კაფეების და სხვა საზოგადოებრივი კვების ობიექტების შენობებში მოწევის <u>აკრძალვის მოწინააღმდეგეებს</u> (18.8% საერთო შერჩევიდან). როგორც მოსალოდნელი იყო, მოწინააღმდეგეთა ძირითადი ნაწილი მწეველია. სქესობრივ ჭრილში ამ ჯგუფში ჭარბობს მამაკაცები, ვინაიდან მამაკაცებში მწეველობა გაცილებით მაღალია ვიდრე ქალებში. ასაკის მატებასთან ერთად მოწინააღმდეგეთა ოდენობა მცირდება. აკრძალვისადმი რეზისტენტული ჯგუფის 50.3%-ის (საერთო რაოდენობის 9%) აზრით, აღნიშნული საკითხის დარეგულირება უნდა მოხდეს რესტორნების, კაფეების და სხვა ობიექტების შენობებში მწეველთა და არამწეველთა ზონების მოწყობით / სპეციალური გამწოვების დამონტაჟებით. განმეორებით კითხვაზე, ხომ არ შეიცვალეს აზრი საზ.კვების ობიექტებში მოწევის აკრძალვასთან დაკავშირებით, მოწინააღმდეგეთა ჯგუფში 11.5%-მა (საერთო ოდენობის 2.2%) განაცხადა, რომ მხარს დაუჭერს აკრძალვას. ეს მონაცემები ცხადჰყოფს, რომ მოწევის აკრძალვის პრაქტიკული რეალიზაციის შემთხვევაში, არსებობს აღნიშნული აკრძალვის მოწინააღმდეგეთა რაოდენობის კიდევ უფრო შემცირების პოტენციალი.

იმ რესპონდენტების უმრავლესობამ, ვინც ეწინააღმდეგებოდა თამბაქოს რეკლამის და პოპულარიზაციის აკრძალვას კანონის საშუალებით, ვერ დაასახელა აღნიშნული პრობლემის დარეგულირების გზები. 11 რესპონდენტის მიერ გამოთქმული მოსაზრებები ეხება რეკლამების შეზღუდვას, საგანმამათლებლო კლიპების გადაღებას, ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციას და ა.შ.

რესპონდენტთა დიდი ურავლესობა (85.3%) მხარს უჭერს თამბაქოს კოლოფებზე გამაფრთხილებელ წარწერებთან ერთად გამაფრთხილებელი სურათების განთავსებას.

რესპონდენტთა 86% ამა თუ იმ სიხშირით სტუმრობს საზ.კვების ობიექტებს. მათგან 49.1% მამაკაცია და 50.9% ქალი, ხოლო 33.1% მწეველია და 66.9% არამწეველი. ყველაზე ნაკლებად აღნიშნულ ობიექტებს საშუალო ასაკის ან ხანდაზმული რესპონდენტები სტუმრობენ. *ყველაზე მეტი რესპონდენტი რესტორანს, კაფე-ბარს ან სხვა საზოგadოებრივი კვების ობიექტებს (მათ შორის ე.წ. „დარბაზი“) სტუმრობს ძირითადად თვეში ან 3 თვეში ერთჯერ ან მეტად (45.8%). ამას გარდა, საზოგადოებრივი კვების ობიექტებში ვიზიტების სიხშირით მამაკაცები უფრო გამოირჩევიან. ყველაზე ხშირად რესპონდენტები სტუმრობენ: რესტორანს (37.2%), საცერემონიო დარბაზს (29.2%) და კაფე-ბარს (27.3%). აღნიშნულ კვების ობიექტებში ვიზიტის ძირითადი მიზეზები ორია: მეგობრებთან დროის გატარება (38.5%) და ქორწილი/ქელეხი/ნათლობა და სხვა რიტუალები (38.1%). რაც შეეხება რესტორანში, კაფე-ბარში ან სხვა საზოგდოებრივი კვების ობიექტში დახარჯულ თანხას 1 ადამიანზე, იგი საშუალოდ შეადგენს* 30 ლარზე ნაკლებს (34.7%) ან 30-50 ლარს (33.3%).

რესტორნების, კაფე-ბარების და საზოგადოებრივი კვების სხვა ობიექტების კლიენტებს შორის თამბაქოს მოწევის აკრძალვას მხარს უჭერს 77.9%.

თუ კანონით აიკრძალება მოწევა რესტორნების, კაფე-ბარების და საზოგადოებრივი კვების სხვა ობიექტების შენობებში, კვლევის მიხედვით, ეს ფაქტორი რესპონდეტების განწყობაზე აღნიშნულ დაწესებულებაში ვიზიტის განხორციელებასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვან დადებით გავლენას მოახდენს: რესპონდენტების 69.2% მიუთითებს, რომ ამგვარი აკრძალვის შემთხვევაში მათი ვიზიტების სიხშირე საზოგადოებრივი კვების ობიექტებში არ შეიცვლება, ხოლო 17.3%-ის შემთხვევაში - გაიზრდება კიდეც. რესპონდენტთა 9.8% კი აცხადებს, რომ აკრძალვის შემთხვევაში შეამცირებს ვიზიტების ოდენობას. მთლიანობაში იკვეთება, რომ მოწევის აკრძალვის შემდგომ სამასპინძლო დაწესებულებებში მოსახლეობის ვიზიტების ოდენობა დღევანდელთან შედარებით გაიზრდება.

1. დემოგრაფიული მონაცემები

რაოდენობრივ კვლევაში მონაწილე 1054 რესპონდენტიდან 46.5% (490 რესპონდენტი) მამრობითი, ხოლო 53.5% (564 რესპონდენტი) მდედრობითი სქესისაა. რაც შეეხება ასაკს, ყველა ასაკობრივი კატეგორია დაახლოებით თანაბრადაა გადანაწილებული (მაჩვენებლები ვარირებს დაახლ. 14-18%-ის ფარგლებში).**იხ. დიაგრამა #1.1, 1.2**

დიაგრამა #1.1





ოჯახური მდგომარეობის მიხედვით, უმრავლესობას დაოჯახებული რესპონდენტები წარმოადგენენ (63.4%), მეხუთედზე ოდნავ მეტი (21.4%) - დაუოჯახებელია. განათლების ცენზის მიხედვით, რესპონდენტების უმრავლესობას უმაღლესი(43.3%) ან საშუალო (35.2%) განათლება აქვს.**იხ. დიაგრამა #1.3, 1.4**

დიაგრამა #1.3



დიაგრამა #1.4



გამოკითხულთაგან დასაქმებული მხოლოდ 38.4%-ია. დანარჩენი რესპონდენტების სტატუსი წარმოადგენილია როგორც უმუშევარი (25.4%), პენსიონერი (17.9%), დიასახლისი (12.1%) და ა.შ.

გამოკითხულთა დიდი ნაწილის ყოველთვიური შემოსავალი 501-1000 (24.8%) ან 301-500 (21.1%) ლარით განისაზღვრება. იმ რესპონდენტთა ხვედრითი წილი, რომლის ოჯახისყოველთვიური შემოსავალი 150 – 300 ლარია, შეადგენს 15.9%-ს.

იხ. დიაგრამა #1.5, 1.6

დიაგრამა #1.5



დიაგრამა #1.6



გამოკითხულთა მნიშვნელოვანი ნაწილი არასახარბიელო სოციალურ მდგომარეობას აღწერს: გამოკითხულთა 31%-ს - ფული ძლივს ყოფნის, ხოლო 26.9%-ს ფული მხოლოდ ძირითადი მოთხოვნილებებისთვის ყოფნის. საჭმელსა და ტანსაცმელში ფული ყოფნით, მაგრამ გადანახვა არ შეუძლია, რესპონდეტთა 30.8%-ს.**იხ. დიაგრამა #1.7**

დიაგრამა #1.7



2. თამბაქოს მოხმარების გავლენა

რაოდენობრივ კვლევაში მონაწილე რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა (96.2%) მიიჩნევს, რომ თამბაქოს მოხმარება ძალზე ან მეტ-ნაკლებად საზიანოა (მათგან 84% თამბაქოს მოხმარების მავნებლობაზე ცალსახად მიუთითებს).**იხ. დიაგრამა #2.1**

დიაგრამა #2.1



რესპონდენტთა ასევე აბსოლუტური უმრავლესობა (92.2%) თანხმდება, რომ თამბაქოს მოხმარება ადამიანს მასზე დამოკიდებულს ხდის. იგივე ტენდენცია გამოვლინდა თამბაქოს მოხმარების სტატუსის და სქესის მიხედვით ჭრილში. უმნიშვნელო განსხვავება (მამრობითი სქესის წარმომადგენლების დაახლ. 5%-ით, ხოლო მწეველების დაახლ. 4%-ით მეტი თვლის, რომ თამბაქოს მოხმარება ადამიანს მასზე დამოკიდებულს არ ხდის).

ეს მიმართება სანდოა: $X^2(12.404), p<0.05$. - სქესის მიხედვით
ეს მიმართება სანდოა: $X^2((8.608), p<0.05$. - თამბაქოს მოხმარების სტატუსის მიხედვით
იხ. დიაგრამა #2.2

დიაგრამა #2.2



როგორც მონაცემები გვიჩვენებს, რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა (90.6%) თამბაქოს მოწევას/მოხმარებას საქართველოში მნიშვნელოვან პრობლემად აღიქვამს (მ.შ. 69.1% მიიჩნევს ცალსახად მნიშვნელოვან პრობლემად). განსხვავებები დაფიქსირდა სხვადასხვა ჭრილებში, კერძოდ: მწეველების 81.7% თვლის თამბაქოს მოხმარებას მნიშვნელოვან ან მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან პრობლემად (მნიშვნელოვანი - 55%), ხოლო არამწეველებთან ანალოგიური მოსაზრება დაფიქსირდა აბსოლუტური უმრავლესობის მიერ (94.5%; მნიშვნელოვანი პრობლემა - 75.1%). მამრობითი სქესის რესპონდენტების შედარებით ნაკლები რაოდენობა მიიჩნევს თამბაქოს მოწევას/თამბაქოს მოხმარებას პრობლემურად (87.6%; მნიშვნელოვანი პრობლემა - 62.2%). მდედრობითი სქესის წარმომადგენლებთან იგივე მაჩვენებელი შეადგენს 93.4%-ს (მნიშვნელოვანი პრობლემა - 75.2%).

ეს მიმართება სანდოა: $X^2(4)=56.82, p<0.05$. - თამბაქოს მოხმარების სტატუსის მიხედვით
ეს მიმართება სანდოა: $X^2(4)=25.14, p<0.05$ - სქესის მიხედვით
იხ. დიაგრამა #2.3

დიაგრამა #2.3



96.1% მიუთითებს საქართველოში, ახალგაზრდების მიერ მოწევის/თამბაქოს მოხმარების პრობლემურობის შესახებ (ცალსახად მნიშვნელოვან პრობლემად მიიჩნევს 81.9%).

იხ. დიაგრამა #2.4

დიაგრამა #2.4



რესპონდენტებს უნდა ეპასუხათ კითხვაზე:

1. *<u>უწყობს თუ არა ხელს თამბაქოს მოხმარების დაწყებას - თამბაქოს რეკლამა</u>*

საერთო მონაცემების მიხედვით, რესპონდენტების 62.9% თვლის რომ თამბაქოს რეკლამა ხელს უწყობს მოხმარების დაწყებას (38.8% თვლის, რომ თამბაქოს მოხმარების დაწყებას რეკლამა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს,ხოლო მეტ-ნაკლებად უწყობს ხელს - 24.1%).23.6%-ის აზრით კი რეკლამა არ უწყობს ხელს მოწევის დაწყებას. განსხვავებები დაფიქსირდა სქესის და თამბაქოს მოხმარების სტატუსის ჭრილების მიხედვით: მამაკაცებსა და თამბაქოს მომხმარებლებს შორის, ქალებთან და არამწეველებთან შედარებით მეტია იმ რესპოდენტთა ხვედრითი წილი, ვინც თვლის, რომ რეკლამა არ უწყობს ხელს თამბაქოს მოხმარების დაწყებას (დაახლ. 17-18%-ით), შესაბამისად შედარებით მცირეა იმ რესპონდენტების რაოდენობა, ვინ მიუთითებს რომ „მნიშვნელოვნად უწყობს ხელს“.

განსხავავებები გამოვლინდა ასევე ასაკის მიხედვით ჭრილში, კერძოდ: რაც უფრო იზრდება რესპონდენტების ასაკი, მით მაღალი ხვედრითი წილი ფიქსირდება პასუხის ვარიანტზე - თამბაქოს რეკლამა თამბაქოს მოხმარებას „მნიშვნელოვნად უწყობს ხელს“. 55-64 წლის რეპონდენტების კატეგორიაში ყველაზე ნაკლები მაჩვენებელი დაფიქსირდა პასუხზე „მეტ-ნაკლებად უწყოს ხელს“, ხოლო 65+ ასაკობრივ კატეგორიაში, სხვებთან შედარებით ყველაზე ნაკლები რესპონდენტი ფიქრობს, რომ თამბაქოს მოხმარების დაწყებას თამბაქოს რეკლამა არ უწყობს ხელს.

ეს მიმართება სანდოა: $X^2(4)=53.459$, $p<0.05$. - თამბაქოს მოხმარების სტატუსის მიხედვით
ეს მიმართება სანდოა: $X^2(4)=19.317$, $p<0.05$- სქესის მიხედვით
ეს მიმართება სანდოა: $X^2(20)=44.448$, $p<0.05$- ასაკის მიხედვით. **იხ. დიაგრამა #2.5, 2.6**

დიაგრამა #2.5



დიაგრამა #2.6



2. *<u>უწყობს თუ არა ხელს თამბაქოს მოხმარების დაწყებას - თამბაქოს პოპულარიზაცია (პრომო აქციები, გათამაშება და ა.შ.)</u>*

უნდა ითქვას, რომ რესპონდენტების დამოკიდებულება, თამბაქოს მოხმარების დაწყებისთვის თამბაქოს პოპულარიზაციის „როლის“ შესახებ, პრაქტიკულად იმეორებს იმ ტენდენციებს, რომლებიც გამოვლინდა თამბაქოს რეკლამის შეფასებისას ამავე კონტექსტში (უმნიშვნელო პროცენტული სხვაობებით), როგორც საერთო მონაცემების მიხედვით, ასევე ყველა ჭრილში (სქესი, ასაკი, თამბაქოს მოხმარების სტატუსი).

ეს მიმართება სანდოა: $X^2(4)=57.898$, $p<0.05$- თამბაქოს მოხმარების სტატუსის მიხედვით
ეს მიმართება სანდოა: $X^2(4)=23.33$, $p<0.05$- სქესის მიხედვით
ეს მიმართება სანდოა: $X^2(20)=45.186$, $p<0.05$- ასაკის მიხედვით.
იხ. დიაგრამა #2.7, 2.8

დიაგრამა #2.7



დიაგრამა #2.8



კითხვაზე, *<u>უწყობს თუ არა ხელს თამბაქოს მოხმარების დაწყებას, თამბაქოს რეკლამის ისეთი ფორმა როგორიცაა სავაჭრო ობიექტების დახლებსა და ვიტრინებზე თამბაქოს ნაწარმის ხილული განლაგება?</u>* 58.4% თვლის რომ ეს ხელს უწყობს მოხმარების დაწყებას. 31.1% თვლის, რომ მნიშვნელოვნად უწყობს ხელს. ამ მაჩვენებელს მცირედით ჩამორჩება იმ რესპონდენტთა ხვედრითი

წილი, ვინც მიიჩნევს, რომ მეტ-ნაკლებად უწყობს ხელს (27.3%), დაახლოებით მეოთხედი კი თვლის, რომ აღნიშნული ფაქტორი ხელს არ უწყობს თამბაქოს მოხმარების დაწყებას.სქესის და თაბაქოს მოხმარების სტატუსის მიხედვით ჭრილებში მცირედი განსხვავება გამოვლინდა: თამბაქოს მომხმარებლებთან და მამაკაცებთან შედარებით მაღალია მოსაზრების ხვედრითი წილი - სავაჭრო ობიექტების დახლებსა და ვიტრინებზე თამბაქოს ნაწარმის ხილული განლაგება არ უწყობს ხელს თამბაქოს მოხმარების დაწყებას(განსაკუთრებით მწეველებთან, სადაც არამწეველების ხვერდით წილს აღემატება დაახლ. 26%-ით).

ეს მიმართება სანდოა: $X^2(4)=98.081, p<0.05$- თამბაქოს მოხმარების სტატუსის მიხედვით
ეს მიმართება სანდოა: $X^2(4)=27.425$, $p<0.05$- სქესის მიხედვით

იხ. დიაგრამა #2.9

დიაგრამა #2.9



კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა უმრავლესობა თვლის, რომ თამბაქოს <u>მოხმარების დაწყებას</u> მნიშვნელოვნად ან მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვნად ხელს უწყობს მოწევის დაშვება კაფე-ბარების, საჯარო დაწესებულებებისა და სხვა საზოგადოებრივ შენობებში (70.8%). სხვადასხვა ჭრილებში გამოვლინდა მცირე განსხვავებები:

- მამრობითი სქესის რეპონდენტების, ასევე თამბაქოს მომხმარებლების შედარებით მეტი რაოდენობა მიუთითებს, რომ აღნიშნული ფაქტორი თამბაქოს მოხმარების დაწყებას ხელს არ უწყობს. აღნიშნული სხვაობა მოსაზრებებში უფრო თვალშისაცემია თამბაქოს მომხმარებლებთან, სადაც პროცენტული განსხვავება შეადგენს დაახლ. 26%-ს;

- ასაკის მიხედვით ჭრილში გამოვლინდა, რომ საშუალო ასაკის (55-64წ.) და ხანდაზმული (65+) რესპონდენტები შედარებით მეტად ემხრობიან მოსაზრებას, რომ თამბაქოს მოხმარების დაწყებას მნიშვნელოვნად ან მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვნად ხელს უწყობს მოწევის დაშვება საზოგადოებრივ შენობებში.

ეს მიმართება სანდოა: $X^2(4)=120.656$, $p<0.05$- თამბაქოს მოხმარების სტატუსის მიხედვით
ეს მიმართება სანდოა: $X^2(4)=40.559$, $p<0.05$- სქესის მიხედვით
ეს მიმართება სანდოა: $X^2(20)=48.917$, $p<0.05$- ასაკის მიხედვით

იხ. დიაგრამა #2.10, 2.11

დიაგრამა #2.10



დიაგრამა #2.11



კითხვაზე თუ რამდენად უწყობს ხელს <u>**თამბაქოს მოხმარების გაგრძელებას**</u> მოწევის დაშვება კაფე-ბარების, საჯარო დაწესებულებებისა და სხვა საზოგადოებრივ შენობებში, გამოვლინდა ანალოგიური ტენდენციები, რაც თამბაქოს <u>მოწევის დაწყებასთან</u> დაკავშირებით (71.5% - მნიშვნელოვნად უწყობს ხელს - 41.5%), არა მხოლოდ საერთო მონაცემების მიხედვით, არამედ სხვადასხვა ჭრილების ანალიზისას (სქესის, ასაკის და თამბაქოს მოხმარების სტატუსის მიხედვით).

ეს მიმართება სანდოა: $X^2(4)=136.469$, $p<0.05$- თამბაქოს მოხმარების სტატუსის მიხედვით
ეს მიმართება სანდოა: $X^2(4)=42.293$, $p<0.05$- სქესის მიხედვით
ეს მიმართება სანდოა: $X^2(20)=46.568$, $p<0.05$- ასაკის მიხედვით
იხ. დიაგრამა #2.12, 2.13

დიაგრამა #2.12



დიაგრამა #2.13



რესპონდენტების უმრავლესობა (87.2%) ცალსახად თანხმდება, რომ არამწეველებისათვის ძალზე საზიანოა სხვების მიერ გამოყოფილი თამბაქოს კვამლის სუნთქვა (მეტ-ნაკლები ზიანის შესახებ მიუთითებს მხოლოდ 9.5%).**იხ. დიაგრამა #2.14**

დიაგრამა #2.14



შეჯამება:

თამბაქოს მოხმარების მავნებლობის/ზიანის შესახებ თანხმდება თითქმის ყველა რესპონდენტი (38 რესპონდენტის გარდა). 92.2% კი მიიჩნევს, რომ თამბაქოს მოხმარება იწვევს მასზე დამოკიდებულების გაჩენას.

ზოგადი შეფასებით, საქართველოში თამბაქოს მოხმარება მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს (90.6%-ის აზრით).ასევე აბსოლუტური უმრავლესობა თანხმდება იმის შესახებ, რომ თამბაქოს მოხმარება ახალგაზრდების მიერ მნიშვნელოვანი პრობლემაა საქართველოში.თუმცა თამბაქოს მომხმარებლებშიდა მამაკაცებშიაღნიშნული და სხვა საკითხების პრობლემატურად აღქმას შედარებით ნაკლები ხვედრითი წილი აქვს. მამაკაცებში ქალებთან შედარებით პრობლემის აღქმის ნაკლებობა სავარაუდოდ უპირატესად იმასთანაა დაკავშირებული, რომ მოწევა მამაკაცებში უფრო გავრცელებულია ვიდრე ქალებში.

მონაცემების ანალიზმა, რომელიც ეხებოდა თამბაქოს რეკლამის და თამბაქოს პოპულარიზაციის (პრომო აქციები, გათამაშება) გავლენას/ხელშეწყობას <u>თამბაქოს მოხმარების დაწყებაზე</u>.აჩვენა რომ <u>როგორც თამბაქოს რეკლამა</u>, ასევე მისი <u>პოპულარიზაცია</u> რესპოდენტთა უმრავლესობის აზრით (დაახლ. 61-62%), მნიშვნელოვნად ან მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვნად უწყობს ხელს თამბაქოს მოხმარების დაწყებას (თუმცა თამბაქოს მომხმარებლებში და მამაკაცებშიაღნიშნულ მოსაზრებებს შედარებით ნაკლები ხვედრითი წილი აქვს). დაახლოებით ამდენივე რესპონდენტი (58.4%) მიიჩნევს, რომ თამბაქოს მოხმარების დაწყებას ასევე ხელს უწყობს თამბაქოს რეკლამის ისეთი ფორმა, როგორიცაა სავაჭრო ობიექტების დახლებსა და ვიტრინებზე თამბაქოს ნაწარმის ხილული განლაგება.

მოცემულ შემთხვევაშიც, თამბაქოს მომხმარებლები და მამაკაცები აღნიშნული საკითხისადმი უფრო სკეპტიკურად არიან განწყობილნი.

არის თუ არა მოწევის დაშვება კაფე-ბარების, საჯარო დაწესებულებებისა და სხვა საზოგადოებრივ შენობებში თამბაქოს <u>მოხმარების დაწყებისა</u> და <u>გაგრძელების</u> ხელშემწყობი? კვლევამ აჩვენა, რომ რესპონდენტები დაახლოებით ერთნაირად (დაახლ. 70- 71%) აფასებენ აღნიშნული დაშვების გავლენას როგორც მოწევის დაწყებასთან, ასევე გაგრძელებასთან მიმართებაში. აღსანიშნავია მოსაზრებების მნიშვნელოვანი განსვლა სქესისა და თამბაქოს მოხმარების მიხედვით ჭრილებში (მამაკაცები და თამბაქოს მომხმარებლები მოწევის დაწყებისა და გაგრძელების ნაკლებად ხელშემწყობ ფაქტორად მიიჩნევენ აღნიშნულ დაშვებას).

რაც შეეხება თამბაქოს კვამლის მიერ არამწეველებისათვის მიყენებული ზიანის შეფასებას, რესპონდენტთა უმრავლესობა (87.2%) ცალსახად მიუთითებს, რომ სხვების მიერ გამოყოფილი თამბაქოს კვამლის სუნთქვა ძალზე საზიანოა არამწეველების ჯანმრთელობისათვის.

3. დამოკიდებულება თამბაქოს კონტროლის პოლიტიკის საკითხებისადმი

რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა (92.8%) ძალზე ან მეტ-ნაკლებად სწორ გადაწყვეტილებად მიიჩნევს წინა წლებშიტელევიზიასა და რადიოში კანონით თამბაქოს რეკლამის აკრძალვას (72.2% ცალსახად სწორ გადაწყვეტილებად აფასებს). არასწორ ან მეტ ნაკლებად არასწორ გადაწყვეტილებად აფასებს მხოლოდ 49 რესპონდენტი.მიუხედავად ასეთი მაღალი მხარდაჭერისა, უნდა აღინიშნოს რომსაერთო მხარდაჭერა მწეველებში დაახლოებით 12%-ით ნაკლებიავიდრე არამწეველებში და 4.7%-ით ნაკლები მამაკაცებში, ქალებთან შედარებით.

ეს მიმართება სანდოა: $X^2(4)=79.546, p<0.05$- თამბაქოს მოხმარების სტატუსის მიხედვით
ეს მიმართება სანდოა: $X^2(4)=18.893$, $p<0.05$- სქესის მიხედვით %). **იხ. დიაგრამა #3.1**

დიაგრამა #3.1



რესპონდენტებს ასევე უნდა შეეფასებინათ, თუ რამდენად სწორია 2008 წლიდან შემოღებული მოწევის აკრძალვა სამედიცინო და სასწავლო დაწესებულებებში. მხოლოდ 7 რესპონდენტი მიიჩნევს აღნიშნულ გადაწყვეტილებას არასწორ გადაწყვეტილებად (2 რესპონდენტებს გაუჭირდა პასუხის გაცემა) **იხ. დიაგრამა #3.2.** თამბაქოს მოხმარების სტატუსის და სქესის მიხედვით აქაც გვაქვს მცირე განსხვავებები.

დიაგრამა #3.2



იმ შემთხვევაში, თუ კანონით აიკრძალება მოწევა საჯარო დაწესებულებების შენობებში გამოკითხულთა 92.5% მას მხარს დაუჭერს (82.8% ცალსახად დაუჭერს მხარს. მეტ-ნაკლებად დაუჭერს მხარს 9.7%).თამბაქოს მოხმარების სტატუსის და სქესის მიხედვით გამოვლინდა მცირე განსხვავებები: თამბაქოს მომხმარებლების და მამაკაცების შედარებით მეტი (დაახლ 8-15%-ით) რაოდენობაა რ დაუჭერდა მხარს მოწევის აკრძალვას საჯარო დაწესებულებების შენობებში.

ეს მიმართება სანდოა: $X^2(2)=220.503, p<0.05$- თამბაქოს მოხმარების სტატუსის მიხედვით
ეს მიმართება სანდოა: $X^2(3)=53.202$, $p<0.05$- სქესის მიხედვით

იხ. დიაგრამა #3.3

დიაგრამა #3.3



კვლევის ერთ-ერთ მთავარ საგანს წარმოადგენდა საზ.კვების ობიექტებში მოწევის აკრძალვის საკითხი: აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით პირველი შეკითხვა ეხებოდა რესპონდენტების პირად მოსაზრებას უნდა აიკრძალოს თუ არა მოწევა საზ.კვების ობიექტებში.ამ კითხვაზე პასუხად რესპონდენტთა 70.5% აცხადებს, რომ უნდა აიკრძალოს.მნიშვნელოვანი განსხვავებები გამოვლინდა სხვადასხვა ჭრილების მიხედვით, კერძოდ:

- არამწეველთა 83,7% აცხადებს რომ უნდა აიკრძალოს, ხოლო თამბაქოს მომხმარებლებიდან მნიშვნელოვნად ნაკლები - 40,4%;
- ქალების 83,3%, ხოლო მამაკაცების 55,7% ფიქრობს რომ უნდა აიკრძალოს;
- ასაკის მიხედვით ჭრილში, ძირითადი შედეგების მსგავსი ტენდენცია დაფიქსირდა.

ეს მიმართება სანდოა: $X^2(2)=220.503$, $p<0.05$- თამბაქოს მოხმარების სტატუსის მიხედვით
ეს მიმართება სანდოა: $X^2(2)=98.76$, $p<0.05$- სქესის მიხედვით
ეს მიმართება სანდოა: $X^2(10)=24.251$, $p<0.05$- ასაკის მიხედვით **იხ. დიაგრამა #3.4, 3.5**

დიაგრამა #3.4



დიაგრამა #3.5



რესტორნების, კაფეების და სხვა ობიექტების შენობებში მოწევის აკრძალვის შესახებ პირადი მოსაზრების გამოხატვის კვალდაკვალ, რესპონდენტებს უნდა ეპასუხათ კითხვაზე *დაუჭერდნენ თუ არა მხარს ამგვარ აკრძალვას თუ იგი განხორციელდებოდა რეალურად, კანონის საშუალებით?*

რეპონდენტების პასუხებიდან ჩანს, რომ კანონის საშუალებით მოწევის აკრძალვას რესტორნების, კაფეების და სხვა ობიექტების შენობებში მხარს დაუჭერს რესპონდენტთა 79.1%. ცალსახად უჭერს მხარს 66%, ხოლო მეტ-ნაკლებად - 13.1%. მოცემულ შემთხვევაშიც განსხვავებები დაფიქსირდა სხვადასხვა ჭრილების მიხედვით: არამწეველების აბსოლუტური უმრავლესობა (91,8%) და მწეველების ნახევარი უჭერს მხარს ამ ცვლილებას, მათ შორის დიდი განსხვავებაა და შეადგენს 41,6%-ს, ხოლო სქესის მიხედვით მამაკაცებთან (65%) შედარებით ქალების (91.3%) 26.3%-ით მეტი უჭერს მხარს ამ აკრძალვას. ასაკის მიხედვით, აკრძალვის მოწინააღმდეგეთა შედარებით დაბალი ხვედრითი წილი გამოვლინდა 65 წელს გადაცილებულ რესპონდენტებთან.

ეს მიმართება სანდოა: $X^2(4)=287.199$, $p<0.05$- მწეველობის სტატუსის მიხედვით
ეს მიმართება სანდოა: $X^2(4)=132.589$, $p<0.05$- სქესის მიხედვით
ეს მიმართება სანდოა: $X^2(20)=56.037$, $p<0.05$- ასაკის მიხედვით
იხ. დიაგრამა #3.6, 3.7

დიაგრამა #3.6



დიაგრამა #3.7



აღსანიშავია, რომ იმ რესპონდენტების დაახლოებით მესამედი (6.7% საერთო შერჩევიდან - 69 რესპონდენტი), ვინც აცხადებენ, რომ მათი პირადი აზრით მოწევა არ უნდა აიკრძალოს რესტორნების, კაფეების და სხვა საზოგადოებრივი კვების ობიექტების შენობებში, დაუჭერდა მხარს ამავე აკრძალვას, თუ ის ნორმატიულ სახეს მიიღებდა. **იხ. დიაგრამა #3.8**

დიაგრამა #3.8



ის რესპონდენტები, ვინც მიუთითეს, რომ ცალსახად ან მეტ-ნაკლებად ემხრობიან კანონის საშუალებით მოწევის აკრძალვას რესტორნების, კაფეების და სხვა საზოგადოებრივი კვების ობიექტების შენობებში (79.1%), ასახელებენ სავარაუდო დროის მონაკვეთს, როდესაც მათი აზრით, უნდა ამოქმედდეს აღნიშნული აკრძალვა: მოცემული ჯგუფის რესპონდენტების უმრავლესობა 74.8% (საერთო შერჩევიდან 59.2%) მიიჩევს, რომ მოწევის აკრძალვა რესტორნების, კაფეების და სხვა ობიექტების შენობებში <u>უნდა ამოქმედდეს უახლოეს 6 თვეში</u>, ხოლო 14.2% (11.2% საერთო შერჩევიდან) კი ასახელებს უახლოეს 1 წელიწადს. **იხ. დიაგრამა #3.9**

დიაგრამა #3.9



ის რესპონდენტები, ვინც მიუთითეს, რომ ცალსახად ან მეტ-ნაკლებად ეწინააღმდეგებიან კანონის საშუალებით მოწევის აკრძალვას რესტორნების, კაფეების და სხვა საზოგადოებრივი კვების ობიექტების შენობებში (სულ 198 რესპონდენტი - 18.8% საერთო შერჩევიდან), ასახელებენ გზებს, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება აღნიშნული საკითხის დარეგულირება:

- რესტორნების, კაფეების და სხვა ობიექტების შენობებში მწეველთა და არამწეველთა ზონების მოწყობა / სპეციალური გამწოვების დამონტაჟება (მიუთითა მოცემული ჯგუფის რესპონდენტთა ნახევარმა - 50.3% (9.5% საერთო შერჩევიდან)).
- მოცემული ჯგუფის 2.4% მიუთითებს, რომ აკრძალვის შემთხვევაში უნდა დარჩეს ისეთი კვების დაწესებულებები, სადაც მოწევა დაშვებული იქნება.
- 9%-მა მიუთითა, რომ ამგვარი აკრძალვა შეუძლებელია, არ აქვს აზრი და ვერავითარ შედეგს ვერ მოიტანს - პირიქით, სარესტორნო/კვების ბიზნესს დააზარალებს;
- მაღალია იმ რესპონდენტთა ხვედრითი წილი, ვისაც გაუჭირდა პასუხის გაცემა (დაახლ. მეხუთედი - 24.5%). რესპონდენტების 4%-მა პასუხზე უარი განაცხადა.

რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა მხარს დაუჭერს კანონის საშუალებით მოწევის აკრძალვას ყველა სახის კულტურული დაწესებულებების, სავაჭრო ობიექტების და სალონების შენობებში (90.3% - ცალსახად მხარს უჭერს 77.6%). განსხვავებები შეინიშნება სქესის და თამბაქოს მოხმარების სტატუსის მიხედვით ჭრილებში: მამაკაცები ქალებთან შედარებით ნაკლებად დაუჭერდნენ მხარს ამგვარ აკრძალვას (თუმცა ზოგადად მხარდამჭერთა მაჩვენებელი მაღალია). აკრძალვის ცალსახად მომხრეთა შორის გაცილებით დიდი განსვლაა თამბაქოს მომხმარებლებთან, არამწეველების საპირისპიროდ (სხვაობა შეადგებს დაახლ 29%-ს). თუმცა, მეტ-ნაკლებად მხარდამჭერთა შორის თამბაქოს მომხმარებლები ჭარბობენ (დაახლ. 13%-ით) არამწეველებს.

ეს მიმართება სანდოა: $X^2(4)=132.626, p<0.05$- თამბაქოს მოხმარების სტატუსის მიხედვით
ეს მიმართება სანდოა: $X^2(4)=32.3$, $p<0.05$- სქესის მიხედვით

იხ. დიაგრამა #3.10

დიაგრამა #3.10



რეპონდენტთა 89.6% ასევე მხარს დაუჭერს კანონის საშუალებით მოწევის აკრძალვას ყველა სახის ოფისებში, საწარმოების, ფაბრიკა-ქარხნების და ნებისმიერი სხვა სამუშაო ადგილის შენობებში (ცალსახად მხარდამჭერია - 74.9%). წინა საკითხის მსგავსად, მოცემულ შემთხვევაშიც, ჭრილებში ანალოგიური განსხვავებები გამოვლინდა, კერძოდ: მამაკაცები და თამბაქოს მომხმარებლები შედარებით ნაკლებად დაუჭერდნენ მხარს მოწევის აკრძალვას ყველა სახის ოფისებში, საწარმოების, ფაბრიკა-ქარხნების და ნებისმიერ სხვა სამუშაო ადგილის შენობებში, ვიდრე ქალები და არამწეველები (დაახლ. 20-30%-ით ნაკლები).

ეს მიმართება სანდოა: $X^2(4)=155.226, p<0.05$- თამბაქოს მოხმარების სტატუსის მიხედვით
ეს მიმართება სანდოა: $X^2(4)=57.153$, $p<0.05$- სქესის მიხედვით **იხ. დიაგრამა #3.11**

დიაგრამა #3.11



თუ კანონით აიკრძალება თამბაქოს რეკლამა და პოპულარიზაცია, ამგვარ აკრძალვას მხარს დაუჭერდა აბსოლუტური უმრავლესობა (91.8% - ცალსახად დაუჭერს მხარს 74.2%). მოცემულ შემთხვევაშიც, მწეველობის სტატუსის და სქესის მიხედვით ჭრილებში თამბაქოს მომხმარებლები და მამაკაცები შედარებით ნაკლებად ემხრობიან აღნიშნულ აკრძალვას, ვიდრე ქალები და არამწეველები. პირველ ჭრილში პროცენტული განსვლა შეადგენს დაახლ. 13%-ს, ხოლო თამბაქოს მოხმარების სტატუსის მიხედვით ჭრილში - დაახლ. 27%-ს.

ეს მიმართება სანდოა: $X^2(4)=98.385, p<0.05$- თამბაქოს მოხმარების სტატუსის მიხედვით
ეს მიმართება სანდოა: $X^2(4)=48.163, p<0.05$- სქესის მიხედვით **იხ. დიაგრამა #3.12**

დიაგრამა #3.12



სულ 66 რესპონდენტი (6.1% საერთო შერჩევიდან) აღმოჩნდა ისეთი, ვინც მხარს არ დაუჭერდა (ცალსახად ან მეტ-ნაკლებად) თამბაქოს რეკლამისა და პოპულარიზაციის აკრძალვას. მათ დაესვათ კითხვა, თუ როგორ უნდა დარეგულირდეს აღნიშნული საკითხი. აღსანიშნავია, რომ 66 რესპონდენტიდან 42-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა, 12-მა რესპონდენტმა კი მიუთითა, რომ რეკლამა არ ახდენს გავლენას თამბაქოს პოპულარიზაციაზე. დანარჩენმა 11-მა რესპონდენტმა დაასახელა სხვადასხვა მოსაზრებები, მათ შორის: რეკლამების შეზღუდვა, საგანმამათლებლო კლიპების გადაღება, ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაცია და ა.შ.

რესპონდენტების 85.3% დაუჭერს მხარს თამბაქოს კოლოფებზე გამაფრთხილებელ წარწერებთან ერთად გამაფრთხილებელი სურათების განთავსებას (ცალსახად დაუჭერს მხარს - 71.2%). არამწეველებსა და ქალებში მხარდაჭერის დონე ჭარბობს თამბაქოს მომხმარებლებსა და მამაკაცებში ანალოგიურ მაჩვენებელს. მამაკაცების და ქალების უარყოფით პასუხებს შორის სხვაობა დაახლ. 13%-ია, ხოლო თამბაქოს მომხმარებლებსა და არამწეველებს შორის - დაახლ. 21%.

ეს მიმართება სანდოა: $X^2(4)=110.468, p<0.05$- თამბაქოს მოხმარების სტატუსის მიხედვით
ეს მიმართება სანდოა: $X^2(4)=48.163, p<0.05$- სქესის მიხედვით
იხ. დიაგრამა #3.13

დიაგრამა #3.13



საინტერესოა, რომ საერთო ჯამში, გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა ემხრობა ყველა ან თითქმის ყველა სახის აკრძალვას, რაც მოცემული კვლევის ფარგლებში დაკავშირებულია თამბაქოსთან თავისუფალ გარემოსთან:

- მოწევის აკრძალვა საჯარო დაწესებულებების შენობებში;
- მოწევის აკძალვა რესტორმების კაფეების და სხვა საზოგადოებრივი კვების ობიექტების შენობებში (როგორც პირადი მოსაზრების, ასევე კანონის საფუძველზე);
- მოწევის აკრძალვა ყველა სახის კულტურული დაწესებულებების, სავაჭრო ობიექტების და სალონების შენობებში;
- მოწევის აკრძალვა ყველა სახის ოფისებში, საწარმოების, ფაბრიკა-ქარხნების და ნებისმიერ სხვა სამუშაო ადგილის შენობებში;
- თამბაქოს რეკლამისა და პოპულარიზაციის აკრძალვა.

გამოკითხულთა 71.8% ყველა ჩამოთვლილი აკრძალვის მომხრეა.

იხ. დიაგრამა #3.14

დიაგრამა #3.14



შეჯამება:

რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა სწორ ამ მეტ-ნაკლებად სწორ გადაწყვეტილებად მიიჩნევს თამბაქოს მოხმარებასთან დაკავშირებულ შემდეგ აკრძალვებს: თამბაქოს რეკლამის აკრძალვა ტელევიზიასა და რადიოში (92.8%) და მოწევის აკრძალვა სამედიცინო და სასწავლო დაწესებულებებში (99.2%). თუმცა, პირველ შემთხვევაში თამბაქოს მომხმარებლების და მამაკაცების პოზიტიური პოზიცია პროცენტულად ჩამორჩება არამწეველების და ქალების ანალოგიურ მოსაზრებებს.

რესპონდენტების დამოკიდებულება ცალსახად პოზიტიურია საჯარო დაწესებულებების შენობებში კანონის საშუალებით მოწევის აკრძალვასთან დაკავშირებით (მხარს უჭერს 92.5% - ცალსახად - 82.8%). თამბაქოს მომხმარებლები და მამაკაცები კვლავ შედარებით ნაკლებად ავლენენ დადებით განწყობას.

კვლევაში მონაწილეთა უმრავლესობის პირადი მოსაზრების მიხედვით (70.5%), მოწევა უნდა აიკრძალოს რესტორნების, კაფეების და სხვა საზოგადოებრივი კვების ობიექტების შენობებში. თუმცა აღნიშნული მოსაზრების <u>საწინააღმდეგო პოზიციის მაჩვენებელი</u> თამბაქოს მომხმარებლებში გაცილებით მეტია არამწეველების ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით.

იმ შემთხვევაში, თუ ზემოთ აღნიშნული აკრძალვა ნორმატულად იქნება გამყარებული, მას მხარს დაუჭერს რესპონდენტთა 79.1%. მოცემულ შემთხვევაშიც, რესტორნების, კაფეების და სხვა საზოგადოებრივი კვების ობიექტების შენობებში მოწევის აკრძალვის მოწინააღმდეგეთა შორის საგრძნობლად ჭარბობენ თამბაქოს მომხმარებლები (35%-ით)და მამაკაცები (20%-ით). აღსანიშნავია, რომ არსებობს რესპონდენტების კატეგორია (69 რესპონდენტი - 6.7% საერთო შერჩევიდან), ვინც პირადი მოსაზრების საფუძველზე თავდაპირველად ეწინააღმდეგება რესტორნების, კაფეების და სხვა საზოგადოებრივი კვების ობიექტების შენობებში მოწევის აკრძალვას, ხოლო თუ აღნიშნული აკრძალვა შესაბამისი კანონით იქნება გამყარებული, დაუჭერდა მხარს.

რესტორნების, კაფეების და სხვა საზოგადოებრივი კვების ობიექტების შენობებში მოწევის აკრძალვის მომხრე (79.1% საერთო შერჩევიდან) რესპოდენტების აზრით, აკრძალვა უნდა ამოქმედდეს უახლოეს მომავალში - 6 თვეში (ამ ჯგუფის რესპონდენტების 74.8%) ან 1 წელიწადში (ამ ჯგუფის რესპონდენტების - 14.2%).

რაც შეეხება რესტორნების, კაფეების და სხვა საზოგადოებრივი კვების ობიექტების შენობებში მოწევის აკრძალვის მოწინააღმდეგეებს (18.8% საერთო შერჩევიდან), მათი აზრით აღნიშნული საკითხის დარეგულირება შესაძლებელია ერთი ძირითადი საშუალებით: რესტორნების, კაფეების და სხვა ობიექტების შენობებში მწეველთა და არამწეველთა ზონების მოწყობა / სპეციალური გამწოვების დამონტაჟება (ამ ჯგუფის 50.3%).

საზოგადოებრივი კვების ობიექტების შენობებში მოწევის აკრძალვის მომხრეებთან შედარებით მეტი მხარდამჭერი ჰყავს კანონის საშუალებით მოწევის აკრძალვას: 1) ყველა სახის კულტურული დაწესებულებების, სავაჭრო ობიექტების და სალონების შენობებში (90.3%); 2) აკრძალვას ყველა სახის ოფისებში, საწარმოების, ფაბრიკა-ქარხნების და ნებისმიერი სხვა სამუშაო ადგილის შენობებში

(89.6%); 3) თამბაქოს რეკლამის და პოპულარიზაციის (91.8%) აკრძალვას. მოცემულ შემთხვევაშიც, გამოიკვეთა მამაკაცებისა და თამბაქოს მომხმარებლების შედარებით ნეგატიური დამოკიდებულება აღნიშნული აკრძალვისადი (განსხვავებები საპირისპირო ჯგუფის მოსაზრებებთან ვარირებს 15-30%-ის ფარგლებში).

66 რეპონდენტიდან (ე.ი. მათ, ვინც მხარს არ დაუჭერდა თამბაქოს რეკლამის და პოპულარიზაციის აკრძალვას კანონის საშუალებით - 6.1% საერთო შერჩევიდან), 42-მა ვერ დაასახელა თუ როგორ უნდა დარეგულირდეს თამბაქოს რეკლამისა და პოპულარიზაციის საკითხი. 11 რესპონდენტის მიერ გამოთქმული მოსაზრებები ეხება რეკლამების შეზღუდვას, საგანმამათლებლო კლიპების გადაღებას, ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციას და ა.შ.

რესპონდენტების უმრავლესობა (85.3%) მხარს დაუჭერს თამბაქოს კოლოფებზე გამაფრთხილებელ წარწერებთან ერთად გამაფრთხილებელი სურათების განთავსებას (თამბაქოს მომხმარებლების და მამაკაცების პოზიტიური დამოკიდებულების მაჩვენებელი აქაც ოდნავ ჩამორჩება ქალების და არამწეველების ანალოგიურ მაჩვენებელს).

თუ კვლევის ფარგლეში თამბაქოსგან თავისუფალ გარემოსთან დაკავშირებულ აკრძალვებთან მიმართებაში რესპონდენტების დამოკიდებულებებს შევაჯამებთ, აღმოჩნდება, რომ დიდი უმრავლესობა ემხრობა ყველა ან თითქმის ყველა სახის აკრძალვას (85.2%; მათგან 71.8% - ემხრობა ყველა სახის აკრძალვას).

4. საზოგადოებრივი კვების ობიექტებით სარგებლობა და მოსალოდნელი ქცევითი ცვლილებები

აღმოჩნდა, რომ მოსახლეობის 86.1% ამა თუ იმ სიხშირით სტუმრობს რომელიმე ტიპის საზოგადოებრივი კვების ობიექტს. მათგან 49.1% მამაკაცია და 50.9% ქალი, ხოლო 33.1% მწეველია და 66.9% არამწეველი.

- იმ რესპონდენტებიდან, ვინც საშუალოდ კვირაში 1-ჯერ ან მეტად სტუმრობს საზოგადოებრივი კვების ობიექტებს, მწეველებისა და არამწეველების ხვედრითი წილი უმნიშვნელოდ განსხვავდება ერთმანეთისგან (52.8% - მწეველი, 47.2% - არამწეველი). კვების ობიექტებში ვიზიტების სიხშირის კლებასთან ერთად იკლებს მწეველების ხვედრითი წილი, მაგ: თვეში 1-ჯერ ვიზიტორთა შორის 38.7% მწეველია, ხოლო 61.3% - არამწეველი;
- საზოგადოებრივი კვების ობიექტების კლინეტებიდან, ვინც ხშირად, ე.ი. საშუალოდ კვირაში 1-ჯერ ან მეტად ან თვეში ერთჯერ ან მეტად სტუმრობს რომელიმე ობიექტს, მამაკაცები ჭარბობენ (71.5% - კვირაში ერთჯერ, 54.8% - თვეში ერთჯერ ან მეტად);
- საზოგადოებრივი კვების ობიექტების კლინეტებიდან, აღნიშნული ობიექტებით ყველაზე ხშირად (კვირაში 1-ჯერ ან მეტად) მოსარგებლე, 18 -34 წლის ახალგაზრდები არიან (57.8%). **იხ. ცხრილი 4.1; 4.2; 4.3**

ცხრილი 4.1

რამდენად ხშირად დადიხართ რესტორანში, კაფე-ბარში ან სხვა საზოგადოებრივი კვების ობიექტში?							
		საშუალოდკვირაში 1-ჯერანმეტად	**საშუალოდთვეში 1-ჯერანმეტად**	**საშუალოდ 3 თვეში 1-ჯერანმეტად**	**წელიწადში1-ჯერანმეტად**	**უფროიშვიათად**	**არდავდივარ**
ამჟამად ეწევით თუ არა თამბაქოს?	**დიახ**	52.8%	38.7%	30.5%	26.1%	18.8%	15.6%
ამჟამადეწევითთუარა თამბაქოს?	**არა**	47.2%	61.3%	69.5%	73.9%	81.2%	84.4%

ცხრილი 4.2

რამდენად ხშირად დადიხართ რესტორანში, კაფე-ბარში ან სხვა საზოგადოებრივი კვების ობიექტში?						
	საშუალოდ კვირაში 1-ჯერ ან მეტად	საშუალოდ თვეში 1-ჯერ ან მეტად	საშუალოდ 3 თვეში 1-ჯერ ან მეტად	წელიწადში 1-ჯერ ან მეტად	უფრო იშვიათად	არასოდეს
მამრობითი	71.5%	54.8%	45.8%	40.4%	34.9%	30.6%
მდედრობითი	28.5%	45.2%	54.2%	59.6%	65.1%	69.4%

ცხრილი 4.3

რამდენად ხშირად დადიხართ რესტორანში, კაფე-ბარში ან სხვა საზოგადოებრივი კვების ობიექტში?						
	საშუალოდ კვირაში 1-ჯერ ან მეტად	საშუალოდ თვეში 1-ჯერ ან მეტად	საშუალოდ 3 თვეში 1-ჯერ ან მეტად	წელიწადში 1-ჯერ ან მეტად	უფრო იშვიათად	არასოდეს
18-24 წლის	35.8%	25.2%	14.0%	1.8%	8.6%	4.1%
25-34 წლის	22.0%	25.9%	21.5%	14.9%	17.2%	4.8%
35-44 წლის	18.7%	19.6%	20.6%	18.4%	15.1%	5.4%
45-54 წლის	15.4%	14.8%	21.0%	23.7%	17.2%	12.2%
55-64 წლის	6.5%	11.9%	12.1%	17.5%	20.4%	19.0%
65 დამეტიწლის	1.6%	2.6%	10.7%	23.7%	21.5%	54.4%

საერთო მონაცემების მიხედვით, რესპონდენტების ყველაზე დიდი რაოდენობა რესტორანს, კაფე-ბარს ან სხვა საზოგადოებრივი კვების ობიექტებს (მათ შორის ე.წ. დარბაზი) სტუმრობს ძირითადად თვეში ან 3 თვეში ერთჯერ ან მეტად 45.8% (25.6% - თვეში 1-ჯერ), ხოლო 17% - უფრო იშვიათად. სხვადასხვა ჭრილებში დაფიქსირდა შემდეგი განსხვავებები:

- სქესის მიხედვით, მამაკაცებში უფრო მაღალია იმ პირების წილი, რომლებიც კვირაში ერთჯერ ან თვეში ერთჯერ სტუმრობენ რესტორანს, კაფე-ბარს ან სხვა საზოგადოებრივი კვების ობიექტებს, ვიდრე ქალებში, საპირისპირო მდგომარეობაა სამ თვეში ერთხელ და უფრო იშვიათად ვიზიტების მიხედვით;

- თამბაქოს მოხმარების სტატუსის მიხედვით, მწეველბს შორის მეტია იმ პირების წილი რომლებიც კვირაში ან თვესი ერთხელ სტუმრობს საზოგადოებრივი კვები ობიექტებს, ვიდრე არამწეველებში;
- ასაკის მიხედვით, საზოგადოებრივი კვების ობიექტებს ყველაზე ნაკლებად 65 წელს გადაცილებული (არ დავდივარ - 44%, უფრო იშვიათად - 22.3%) ან 55-64 წლის (არ დავდივარ - 18.4%, უფრო იშვიათად - 25%) რესპონდენტები სტუმრობენ. საშუალოდ „კვირაში ერთჯერ“ პასუხს შედარებით მეტი 18-24 წლის ახალგაზრდა აფიქსირებს, ხოლო თვეში ერთჯერ ან მეტად 18 – 24 და 25-34 წლის ასაკობრივ კატეგორიებში შემავალი რესპონდენტები.

ეს მიმართება სანდოა: $X^2(5)=65.662, p<0.05$- თამბაქოს მოხმარების სტატუსის მიხედვით
ეს მიმართება სანდოა: X^2 (5)=65.189, p<0.05- სქესის მიხედვით
ეს მიმართება სანდოა: X^2 (25)=324.567, p<0.05- ასაკის მიხედვით.**იხ. დიაგრამა #4.1, 4.2**

დიაგრამა #4.1



დიაგრამა #4.2



გამოიყო ყველაზე პოპულარული 3 საზოგადოებრივი კვების ობიექტი, სადაც ყველაზე მეტი ვიზიტი ხორციელდება კვლევაში ჩართული რესპონდენტების მიერ: რესტორანი (37.2%), საცერემონიო დარბაზი (29.2%) და კაფე-ბარი (27.3%).

ეს მიმართება სანდოა: $X^2(5)=31.178, p<0.05$- მწეველობის სტატუსის მიხედვით
ეს მიმართება სანდოა: $X^2(5)=34.886, p<0.05$- სქესის მიხედვით

იხ. დიაგრამა #4.3

დიაგრამა #4.3



- <u>რესტორნის კლიენტებიდან:</u> უმეტესობა არამწეველია (დაახლ. 60%), უფრო ხშირად დადიან მამაკაცები (დაახლ.58%), და 25-34 წლის ინდივიდები (დაახლ. 28%);
- <u>კაფე-ბარის კლიენტებიდან:</u> უმრავლესობა არამწეველია (დაახლ. 69%), მდედრობითი სქესის წარმომადგენელი (58.3%) და 18-24 წლის ახალგაზრდა (დაახლ. 39%);
- <u>კლუბის კლიენტებს შორის</u>: სიტუაცია განსხვავებულია და უმრავლესობას მწეველები შეადგენენ (71.4%), ასევე მამაკაცები (71.4%) და 18-24 წლის ახალგაზდები (62.5%);
- <u>სასადილოს კლიენტებს შორის ძირითადად არიან</u>: მწეველები (54.5%), დიდი უმრავლესობით მამაკაცები (86.4%), 55 – 64 წლის ინდივიდები;
- <u>საცრემონიო დარბაზს ძირითადად სტუმრობენ</u>: არამწეველები (77.4%), მდედრობითი სქესის წარმომადგენლები (58.5%), 65 წელს გადაცილებული ინდივიდები. **იხ. ცხრილი 4.4; 4.5; 4.6**

ცხრილი 4.4

რომელი ტიპის სამასპინძლო ობიექტს სტუმრობთ ყველაზე ხშირად?							
		რესტორანი	კაფე/ბარი	კლუბი	სასადილო	საცერემონიო დარბაზი	მიჯირს პასუხის გაცემა
ამჟამად ეწევით თუ არა თამბაქოს?	დიახ	40.2%	30.8%	71.4%	54.5%	22.6%	39.3%
ამჟამადეწევითთუარა თამბაქოს?	არა	59.8%	69.2%	28.6%	45.5%	77.4%	60.7%

ცხრილი 4.5

რომელი ტიპის სამასპინძლო ობიექტს სტუმრობთ ყველაზე ხშირად?						
	რესტორანი	კაფე/ბარი	კლუბი	სასადილო	საცერემონიო დარბაზი	მიჯირს პასუხის გაცემა
მამრობითი	57.6%	41.7%	71.4%	86.4%	41.5%	46.4%
მდედრობითი	42.4%	58.3%	28.6%	13.6%	58.5%	53.6%

ცხრილი 4.6

რომელი ტიპის სამასპინძლო ობიექტს სტუმრობთ ყველაზე ხშირად?						
	რესტორანი	კაფე/ბარი	კლუბი	სასადილო	საცერემონიო დარბაზი	მიჯირს პასუხის გაცემა
18-24 წლის	14.2%	38.7%	62.5%	4.5%	2.3%	17.2%
25-34 წლის	27.9%	23.4%	25.0%	22.7%	11.7%	10.3%
35-44 წლის	24.0%	16.9%	12.5%	13.6%	14.7%	13.8%
45-54 წლის	16.3%	12.5%	-	22.7%	23.7%	34.5%
55-64 წლის	12.5%	5.2%	-	27.3%	21.4%	17.2%
65 დამეტიწლის	5.0%	3.2%	-	9.1%	26.3%	6.9%

რაც შეეხება საზოგადოებრივი კვების ობიექტებში ვიზიტების მიზეზებს, რეპონდენტებმა (რომლებიც რომელიმე ტიპის საზოგადოებრივი კვების ობიექტს სტუმრობენ, იშვიათად მაინც) ასეთი ორი ძირითადი მიზეზი დაასახელეს: მეგობრებთან დროის გატარება (38.5%) და ქორწილი/ქელეხი/ნათლობა და სხვა რიტუალები (38.1%).**იხ. დიაგრამა #4.4**

დიაგრამა #4.4



საზოგადოებრივი კვების ობიექტებში დახარჯული თანხა (1 ადამიანზე), საერთო მონაცემების მიხედვით, ძირითადად 30 ლარზე ნაკლები (34.7%) ან 30-50 ლარია (33.3%), სქესის, ასაკის და თამბაქოს მოხმარების სტატუსის მიხედვით ჭრილებში დაფიქსირდა ანალოგიური ტენდენცია.%).**იხ. დიაგრამა #4.5**

დიაგრამა #4.5



თუ მოწევა კანონის მიხედვით აიკძალება საზოგადოებრივი კვების ობიექტების შენობებში, კვლევის შედეგების მიხედვით, რესპონდენტების 87%-ს ექნებათ ამ ფაქტისადმი ასე თუ ისე დადებითი რეაქცია, კერძოდ:

- ყველაზე მეტი რესპონდენტი (40.3%) თვლის, რომ მეტ სიამოვნებას მიიღებენ საზოგადოებრივი კვების ობიექტებში ვიზიტისას;
- 23.8%-ისთვის სულერთია, არაფერი შეიცვლება;
- 16.8% თვლის, რომ საბოლოოდ ეს ფაქტი კარგი იქნება მათთვისაც.
- 6.1% თვლის რომ აკრძალვის გამო ექნება დისკომფორტი, თუმცა ვინაიდან აკრძალვა საყოველთაო იქნება მოუწევს შეეგუება მასთან.

რესპონდენტების მხოლოდ დაახლოებით 8%-ს თვლის, რომ ექნება უარყოფითი რეაქცია და დისკომფორტის გამო შეამცირებს ობიექტებში ვიზიტებს.

უნდა აღინიშნოს, რომ საზ.კვების ობიექტებში მოწევის აკრძალვისადმი დამოკიდებულების ეს დადებითი მაჩვენებელი (87% მისაღები), კიდევ უფრო მაღალია ვიდრე ამ საკითხზე წინა კითხვებით მიღებული შედეგები (70.5% პირადი მოსაზრებით და 79.1% მხარდაჭერა კანონის მიღების შემთხვევაში) **იხ. დიაგრამა #4.6**

დიაგრამა #4.6



თუ მოწევა აიკრძალა საზოგადოებრივი კვების ობიექტებში, როგორც აღმოჩნდა რესპონდენტთა ვიზიტების სიხშირე ძირითადად არ შეიცვლება (69.2%). 9.8% ვარაუდობს რომ შეამცირებს, ხოლო 17.4% მიუთითებს, რომ გაიზრდება. განსხვავებები დაფიქსირდა თამბაქოს მოხმარების სტატუსის და

სქესის ჭრილებში, კერძოდ დადებითი რეაქციის მქონენი არამწეველებსა და ქალებში ჭარბობს ანალოგიურ მაჩვენებლებს მწეველებსა და მამაკაცებში.

ეს მიმართება სანდოა: $X^2(5)=228.721$, $p<0.05$- თამბაქოს მოხმარების სტატუსის მიხედვით
ეს მიმართება სანდოა: X^2 (5)=58.131, p<0.05- სქესის მიხედვით. **იხ. დიაგრამა #4.7**
დიაგრამა #4.7



შემდეგ ორ კითხვას (რომლებიც ეხებოდა მოწევის აკრძალვას რესტორნების, კაფე-ბარების და სხვა საზოგადოებრივი კვების ობიექტების შენობებში და თამბაქოს რეკლამისა და პოპულარიზაციის აკრძალვას) განმეორებით უპასუხეს მხოლოდ იმ რესპონდენტებმა, რომლებიც *<u>მეტ-ნაკლებად ან ცალსახად არ დაუჭერენ მხარს მოწევის აკრძალვას რესტორნების, კაფე-ბარების და სხვა საზოგადოებრივი კვების ობიექტების შენობებში</u>* (სულ 198 რესპონდენტი - 18.8% საერთო შერჩევიდან). როგორც აღმოჩნდა:

- საზოგადოებრივი კვების ობიექტების შენობებში მოწევის აკრძალვის მოწინააღმდეგეებს შორის 23-მა რესპონდენტმა შეიცვალა აზრი და დააფიქსირა მხარდაჭერა აღნიშნული აკრძალვისადმი;
- იგივე კატეგორიის რესპონდენტების ნაწილმა (რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ საზოგადოებრივი კვების ობიექტების შენობებში მოწევის აკრძალვას) თამბაქოს რეკლამისა და პოპულარიზაციის აკრძალვასთან დაკავშირებითპოზიტიური მოსაზრება დააფიქსირა(121 რესპონდენტი). **იხ. დიაგრამა #4.8, 4.9**

დიაგრამა #4.8



დიაგრამა #4.9



<u>საზოგადოებრივი კვების ობიექტების კლიენტებს შორის მოწევის აკრძალვის მხარდამჭერთა ხვედრითი წილი შეადგენს 77.9%-ს</u>.საზოგადოებრივი კვების ობიექტებში ვიზიტების სხვადასხვა სიხშირის მიხედვით, მოწევის აკრძალვის მხარაჭერის მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება.**იხ. ცხრილი 4.7; 4.8**

ცხრილი 4.7

თუმოწევააიკრძალასაზოგადოებრივიკვებისობიექტებში, დაუჭერთთუარამხარსამაკრძალვას?	.რამდენადხშირადდადიხართრესტორანში, კაფე-ბარშიანსხვასაზოგადოებრივიკვებისობიექტში?	
	დავდივარ	არდავდივარ
დავუჭერმხარს	63.9%	79.1%
მეტ-ნაკლებადდავუჭერმხარს	14.0%	7.4%
მეტ-ნაკლებადარდავუჭერმხარს	4.5%	2.7%
არდავუჭერმხარს	16.0%	5.4%

ცხრილი 4.8

რამდენად ხშირად დადიხართ რესტორანში, კაფე-ბარში ან სხვა საზოგადოებრივი კვების ობიექტში?						
დაუჭერთ თუ არა მხარს საზ. კვების ობიექტების შენობებში, მოწევისკანონით აკრძალვას?	საშუალოდკვირაში 1-ჯერანმეტად	საშუალოდთვეში 1-ჯერანმეტად	საშუალოდი 3 თვეში 1-ჯერანმეტად	წელიწადში1-ჯერანმეტად	უფროიშვიათად	არდავდივარ
დავუჭერმხარს	57.8%	62.6%	67.8%	74.9%	79.1%	57.8%
მეტ-ნაკლებადდავუჭერმხარს	16.8%	11.7%	14.8%	10.7%	7.4%	16.8%
მეტ-ნაკლებადარდავუჭერმხარს	4.8%	6.1%	4.3%	2.7%	2.7%	4.8%
არდავუჭერმხარს	19.1%	18.2%	11.3%	10.2%	5.4%	19.1%
მიჭირსპასუხისგაცემა	1.5%	1.4%	1.7%	1.6%	5.4%	1.5%

შეჯამება:

რესპონდენტთა 86.1% ამა თუ იმ სიხშირით სტუმრობს საზ.კვების ობიექტებს. მათგან 49.1% მამაკაცია და 50.9% ქალი, ხოლო 33.1% მწეველია და 66.9% არამწეველი. ყველაზე ნაკლებად აღნიშნულ ობიექტებს საშუალო ასაკის ან ხანდაზმული რესპონდენტები სტუმრობენ. ყველაზე მეტი რესპონდენტი რესტორანს, კაფე-ბარს ან სხვა საზოგადოებრივი კვების ობიექტებს (მათ შორის ე.წ. დარბაზი) სტუმრობს ძირითადად თვეში ან 3 თვეში ერთჯერ ან მეტად (45.8%). კვლევის მონაცემების მიხედვით, გამოიკვეთა 3 ობიექტი, რომლებსაც ყველაზე ხშირად სტუმრობენ რესპონდენტები: რესტორანი (37.2%), საცერემონიო დარბაზი (29.2%) და კაფე-ბარი (27.3%). კვების ობიექტებში ვიზიტის ძირითადი მიზეზები ორია: მეგობრებთან დროის გატარება (38.5%) და ქორწილი/ქელეხი/ნათლობა და სხვა რიტუალები (38.1%). რაც შეეხება რესტორანში, კაფე-ბარში ან

სხვა საზოგადოებრივი კვების ობიექტში დახარჯულ თანხას 1 ადამიანზე, იგი საშუალოდ შეადგენს30 ლარზე ნაკლებს (34.7%) ან 30-50 ლარს (33.3%).

როგორც ჩანს, კვლევაში მონაწილე რესპონდენტების უმრავლესობისთვის კანონის საშუალებით მოწევის აკრძალვა საზოგადოებრივი კვების შენობებში უფრო პოზიტიურად აისახება მათ ქმედებებსა და დამოკიდებულებებზე, კერძოდ 87%-სთვის ეს აკრძალვა ამა თუ იმ სახით მისაღები იქნება.ამ ფაქტის კიდევ ერთი დადასტურებაა ის, რომ <u>რესპონდენტების 69.2% მიუთითებს, რომ ამგვარი აკრძალვის შემთხვევაში მათი ვიზიტების სიხშირე საზოგადოებრივი კვების ობიექტებში არ შეიცვლება</u>, ხოლო <u>17.4%-ის შემთხვევაში - გაიზრდება</u> კიდეც, შედარებით ნაკლები - <u>9.8% აცხადებს რომ შეამცირებს ვიზიტების რაოდენობას</u>. არამწეველებში დადებითი რეაქციის დონე უფრო მაღალია(94.5%), ვიდრე მწეველებში (67.9%), ისევე როგორც ქალებში (91.8%), მამაკაცებთან შედარებით (80.6%).

ის რეპონდენტები, რომლებიც ცალსახად ან მეტ-ნაკლებად არ უჭერდნენ მხარს მოწევის აკრძალვას რესტორნების, კაფე-ბარების და საზოგადოებრივი კვების სხვა ობიექტების შენობებში, ინტერვიუს დასასრულს კიდევ ერთხელ აფასებენ საკუთარ დამოკიდებულებას შემდეგი აკრძალვებისადი: 1) მოწევის აკრძალვა რესტორნების, კაფე-ბარების და სხვა საზოგადოებრივი კვების ობიექტების შენობებში; 2) თამბაქოს რეკლამისა და პოპულარიზაციის აკრძალვა. აკრძალვების მოწინააღმდეგე რესპონდენტებს შორის აღმოჩნდა მცირე კატეგორია, ვინც შეიცვალა აზრი. აქედან გამომინარე მცირედით გაიზარდა საზოგადოებრივი კვების ობიექტების შენობებში მოწევის აკრძალვის მხარდამჭერთა რიცხვი და შეადგინა 81.3% (2.2%-ით მეტი). კვლევის მონაცემების მიხედვით, <u>საზოგადოებრივი კვების ობიექტების კლიენტებს შორის მოწევის აკრძალვის მხარდამჭერთა ხვედრითი წილი შეადგენს 77.9%-ს</u>.

5. თამბაქოს მოხმარების პრაქტიკა

გამოკითხულთა შორის თამბაქოს მომხმარებელი 30.6%-ია. 14.6% თამბაქოს მომხმარებელი იყო წარსულში, ხოლო 54.8% არასოდეს ყოფილა თამბაქოს ნაწარმის მომხმარებელი. მწეველებს შორის გაცილებით მეტი მამაკაცია (თამბაქოს მომხმარებელი მამაკაცი 54.8%, ქალი - 9.6%). ასაკის მიხედვით, 65 წელს გადაცილებულ რესპონდენტებს შორის ძალზე ცოტა მწეველია (10.6%), დანარჩენ ასაკობრივ კატეგორიებში მეტ-ნაკლებად თანაბარი მაჩვენებლები ფიქსირდება.

ეს მიმართება სანდოა: $X^2(1)=252.581, p<0.05$- სქესისმიხედვით

ეს მიმართება სანდოა: $X^2(5)=43.901$, $p<0.05$- ასაკის მიხედვით. **იხ. დიაგრამა #5.1**

დიაგრამა #5.1



322 მწეველი რესპონდენტიდან, ყოველდღიურად ეწევა 312 (მწეველთა 96.8%; საერთო შერჩევიდან - 29.6%). რესპონდენტების უმეტესობამ ყოველდღიურად მოწევა დაახლოებით 6 – 15 წლის (29.1%), ან 16 – 25 წლის (22.9%) წინ დაიწყო (საშუალო მაჩვენებელი (Mean) 19.7 წ. შეადგენს). **იხ. დიაგრამა #5.2**

დიაგრამა #5.2





მწეველ რესპონდენტებს უნდა დაესახელებინათ, ქვემოთ ჩამოთვლილი თამბაქოს პროდუქტებიდან რამდენს ეწევიან ყოველდღიურად:

- ✓ *სამრეწველო წარმოების სიგარეტი;*
- ✓ *ხელით დახვეული სიგარეტი;*
- ✓ *თამბაქოთი დატენილი ჩიბუხი;*
- ✓ *სიგარის სხვადასხვა ტიპი;*
- ✓ *ელექტრონული სიგარეტი.*

მიღებული მონაცემების მიხედვით გამოვლინდა შემდეგი:

- ➢ არცერთი რესპონდენტი არ აღმოჩნდა ჩიბუხისა და ელექტრონული სიგარეტის მომხმარებელი;
- ➢ ხელით დახვეულ სიგარეტს ეწევა თამბაქოს მომხმარებელი რესპონდენტების 0.6%;
- ➢ სხვადასხვა ტიპის სიგარას ეწევა თამბაქოს მომხმარებელი რესპონდენტების 0.8%;
- ➢ ხელით დახვეულ სიგარეტს ეწევა თამბაქოს მომხმარებელი რესპონდენტების 2.5% (რაოდენობები დასახელდა 2-დან 28 ღერის ჩათვლით);
- ➢ თითქმის ყველა თამბაქოს მომხმარებელი ეწევა სამრეწველო წარმოების სიგარეტს (99.7%). მათგან ნახევარზე ოდნავ მეტი რესპონდენტი ეწევა 11-20 ღერს (55.8%). 2-10 ღერს ეწევა 15.5% და 25 ღერზე მეტს - 28.4%. საშუალოდ 1 მწეველი 20 ღერს ეწევა.

მწეველი რესპონდენტებიდან 39.7%-ს ჰქონდა თამბაქოს მოწევაზე თავის დანებების მცდელობა, ბოლო 12 თვის განმავლობაში. ამავე კატეგორიის რესპონდენტებმა დაასახელეს პერიოდი ბოლო 12 თვის განმავლობაში, როდესაც ყველაზე ხანგრძლივად არ ეწეოდნენ: თამბაქოს მომხარებელი რესპონდენტების ნახევარმა მოწევას თავი მხოლოდ 1 – 10 დღით დაანება (50.4%), მეხუთედზე ოდნავ მეტმა (22.3%) კი ამგვაარ ვადად 2 კვირა 0 1.5 თვე დაასახელა. ყველაზე ხშირად დასახელებული თავშეკავების პერიოდი მათ შორის ვინც სცადა თავის დანებება 2 დღეა. **იხ. დიაგრამა #5.3, 5.4**

დიაგრამა #5.3



დიაგრამა #5.4



154 რესპონდენტმა (ე.ი. მათ, ვინც მიუთითეს, რომ წარსულში მოიხმარდნენ თაბაქოს ნაწარმს - 14.6%) მიუთითეს თუ რამდენი წლის წინ შეწყვიტეს თამბაქოს მოხმარება. ყველაზე მეტი რესპონდენტი მიუთითებს (42.5%), რომ თამბაქოს მოხმარება შეწყვიტა 1 – 5 წლის წინ. რესპონდენტების დაახლოებით თანაბარი რაოდენობა ასახელებს 6 – 10 წელს და 11- 20 წელს (18.6% და 17.7%). საშუალოდ თამბაქოს მოხმარება შეწყვიტეს 7 წლის წინ. **იხ. დიაგრამა #5.5**

დიაგრამა #5.5



კვლევაში მონაწილე რესპონდენტებს შორის მხოლოდ 3 მათგანი აღმოჩნდა ისეთი, ვინც მოიხმარს თამბაქოს რაიმე უკვამლო პროდუქტს.

6. კვლევის ინსტრუმენტი

ინტერვიუერიN_____

ქალაქის N _____

რაიონის N_____

შერჩევის წერტილი_____

ქალაქი _____

რესპონდენტის მისამართი და ტელეფონის ნომერი
(სურვილის შემთხვევაში)

_____

კითხვარი

გამარჯობა! მე ვარ _____

ეს კვლევა ტარდება „სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის“ მიერ. კვლევის მიზანია, თამბაქოსაგან თავისუფალ გარემოსთან დაკავშირებით საზოგადოების დამოკიდებულების შესწავლა.

ინტერვიუს მონაცემები არის კონფიდენციალური და გამოყენებული იქნება მხოლოდ ზოგადი სახით სტატისტიკური მიზნებისთვის.

გთხოვთ, გამოიჩინოთ გულისხმიერება და გულწრფელად უპასუხოთ დასმულ შეკითხვებს.

მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის.

A. მოსაზრება თამბაქოს და მისი კონტროლის მახასიათებლების შესახებ

A1.რას ფიქრობთ თამბაქოს მოხმარების მავნებლობის/ზიანის შესახებ?

1	ძალზე საზიანოა
2	მეტ-ნაკლებად საზიანოა
3	არც ისე საზიანოა
4	არ არის საზიანო
99	მიჭირს პასუხის გაცემა

A2. ფიქრობთ თუ არა, რომ თამბაქოს მოხმარება ადამიანს მასზე დამოკიდებულს ხდის?

1.დიახ

2. არა

99. მიჭირს პასუხის გაცემა

A3. რამდენად პრობლეატურად თვლით მოწევას/თამბაქოს მოხმარებას საქართველოში?

1	მნიშვნელოვანი პრობლემაა
2	მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი პრობლემაა
3	მეტ-ნაკლებად უმნიშვნელო პრობლემაა
4	უმნიშვნელო პრობლემაა
99	მიჭირს პასუხის გაცემა

A4. რამდენად პრობლეატურად თვლით მოწევას/თამბაქოს მოხმარებასახალგაზრდების მიერ,საქართველოში?

1	მნიშვნელოვანი პრობლემაა
2	მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი პრობლემაა
3	მეტ-ნაკლებად უმნიშვნელო პრობლემაა
4	უმნიშვნელო პრობლემაა
99	მიჭირს პასუხის გაცემა

A5. თქვენი აზრით,უწყობს თუ არა ხელს თამბაქოს მოხმარების დაწყებას თამბაქოს რეკლამა და პოპულარიზაცია?

	თამბაქოს რეკლამა	**თამბაქოს პოპულარიზაცია (მაგ: პრომო აქციები, გათამაშება და ა.შ.)**
მნიშვნელოვნად უწყობს ხელს	1	1
მეტ-ნაკლებად უწყობს ხელს	2	2
მცირედ უწყობს ხელს	3	3
არ უწყობს ხელს	4	4
მიჭირს პასუხის გაცემა	99	99

A6. თქვენი აზრით, უწყობს თუ არა ხელს თამბაქოს მოხმარების დაწყებას, თამბაქოს რეკლამის ისეთი ფორმა როგორიცაა სავაჭრო ობიექტების დახლებსა და ვიტრინებზე თამბაქოს ნაწარმის ხილული განლაგება?

1	მნიშვნელოვნად უწყობს ხელს
2	მეტ-ნაკლებად უწყობს ხელს
3	მცირედუწყობს ხელს
4	არ უწყობს ხელს
99	მიჭირს პასუხის გაცემა

A7. თქვენი აზრით,უწყობს თუ არა ხელს თამბაქოს მოხმარების დაწყებასა და გაგრძელებას მოწევის დაშვება კაფე-ბარების, საჯარო დაწესებულებათა და სხვა საზოგადოებრივ *შენობებში*?

	თამბაქოს მოწევის დაწყება	**თამბაქოს მოწევის გაგრძელება**
მნიშვნელოვნადუწყობს ხელს	1	1
მეტ-ნაკლებადუწყობს ხელს	2	2
მცირედ უწყობს ხელს	3	3
არ უწყობს ხელს	4	4
მიჭირს პასუხის გაცემა	99	99

A8. თქვენი აზრით, რამდენად საზიანოა არამწეველთათვის, სხვების მიერ გამოყოფილი თამბაქოს კვამლის სუნთქვა?

1	ძალზე საზიანოა
2	მეტ-ნაკლებად საზიანოა
3	მცირედ საზიანოა
4	არ არის საზიანო
99	მიჭირს პასუხის გაცემა

B. დამოკიდებულება თამბაქოს კონტროლის პოლიტიკის საკითხებისადმი

B1. საქართველოში 2003წლიდან აკრძალულია თამბაქოს რეკლამა ტელევიზიასა და რადიოში. თქვენი აზრით, რამდენად სწორია აღნიშნული გადაწყვეტილება?

1	ძალზე სწორი გადაწყვეტილებაა
2	მეტ-ნაკლებად სწორი გადაწყვეტილებაა
3	მეტ-ნაკლებად არასწორი გადაწყვეტილებაა
4	არასწორი გადაწყვეტილებაა
99	მიჭირს პასუხის გაცემა

B2. საქართველოში 2008 წლიდან აკრძალულია მოწევა სამედიცინო და სასწავლო დაწესებულებებში.თქვენი აზრით, რამდენად სწორია აღნიშნული გადაწყვეტილება?

1	ძალზე სწორი გადაწყვეტილებაა
2	მეტ-ნაკლებად სწორი გადაწყვეტილებაა
3	მეტ-ნაკლებად არასწორი გადაწყვეტილებაა
4	არასწორი გადაწყვეტილებაა
99	მიჭირს პასუხის გაცემა

თამბაქოს მოხმარების და მისგან გამოწვეული ზიანის შესამცირებლად არსებობს რამდენიმე ნაბიჯი, რომელიც შეიძლება გადაიდგას. ქვემოთ ჩამოგითვლით ამ ნაბიჯებს და გთხოვთ გვიპასუხოთ, უჭერთ თუ არა მათ მხარს:

B3. თუ კანონით აიკრძალება მოწევა საჯარო დაწესებულებების *შენობებში* დაუჭერთ თუ არა მხარს ამ აკრძალვას?

1. დავუჭერმხარს
2. მეტ-ნაკლებად დავუჭერ მხარს
3. მეტ-ნაკლებად არ დავუჭერ მხარს
4. არ დავუჭერ მხარს
99. მიჭირს პასუხის გაცემა

B4. თქვენი აზრით, უნდა აიკრძალოს თუ არა მოწევა რესტორნების, კაფეების და სხვა საზოგადოებრივი კვების ობიექტების *შენობებში*?

1. დიახ, უნდა აიკრძალოს
2. არა, არ უნდა აიკრძალოს
99. მიჭირს პასუხის გაცემა

B5.თუ კანონით აიკრძალება მოწევა რესტორნების, კაფე-ბარების და სხვა საზოგადოებრივი კვების ობიექტების *შენობებში*,დაუჭერთ თუ არა მხარს ამ აკრძალვას?

1. დავუჭერ მხარს
2. მეტ-ნაკლებად დავუჭერ მხარს
3. მეტ-ნაკლებად არ დავუჭერ მხარს **გადადით კითხვაზე # B7**
4. არ დავუჭერ მხარს **გადადით კითხვაზე # B7**
99 მიჭირს პასუხის გაცემა **გადადით კითხვაზე # B8**

B6. თქვენიაზრით, როდიდან უნდა ამოქმედდეს მოწევის აკრძალვა რესტორნების, კაფე-ბარების და სხვა საზოგადოებრივი კვების ობიექტების *შენობებში*? (ინტერვიუერს: ის რესპონდენტები, რომლებიც პასუხობენ კითხვაზე # B6, შემდეგ გადადიან კითხვაზე # B8)

1. უახლოეს 6 თვეში
2.უახლოეს 1 წელიწადში
3. სხვა (ჩაწერეთ) ----------
99. მიჭირს პასუხის გაცემა

B7. თუ არ უჭერთ მხარს კანონით მოწევის აკრძალვას რესტორნების, კაფე-ბარების და სხვა საზოგადოებრივი კვების ობიექტების *შენობებში*, გთხოვთ გვითხრათ, როგორ უნდა დარეგულირდეს აღნიშული საკითხი?

1 (ჩაწერეთ) ----------
99 მიჭირს პასუხის გაცემა

B8.თუ კანონითაიკრძალება მოწევა ყველა სახის კულტურული დაწესებულებების, სავაჭრო ობიექტების და სალონების*შენობებში*, დაუჭერთ თუ არა მხარს ამ აკრძალვას?

1 დავუჭერმხარს
2 მეტ-ნაკლებად დავუჭერ მხარს
3 მეტ-ნაკლებად არ დავუჭერ მხარს
4 არ დავუჭერ მხარს
99 მიჭირს პასუხის გაცემა

B9.თუკანონით აიკრძალება მოწევა ყველა სახის ოფისებში, საწარმოების, ფაბრიკა ქარხნების და ნებისმიერ სხვა სამუშაო ადგილის *შენობებში*, დაუჭერთ თუ არა მხარს ამ აკრძალვას?

1 დავუჭერმხარს
2 მეტ-ნაკლებად დავუჭერ მხარს
3 მეტ-ნაკლებადარ დავუჭერ მხარს
4 არ დავუჭერ მხარს
99 მიჭირს პასუხის გაცემა

B10.თუ კანონით აიკრძალება თამბაქოს რეკლამა და პოპულარიზაცია, დაუჭერთ თუ არა მხარს ამ აკრძალვას?

1 დავუჭერმხარს **გადადით კითხვაზე #B12**
2 მეტ-ნაკლებად დავუჭერ მხარს **გადადით კითხვაზე #B12**
3 მეტ-ნაკლებადარ დავუჭერ მხარს
4 არ დავუჭერ მხარს
99 მიჭირს პასუხის გაცემა **გადადით კითხვაზე #B12**

B11. თუ არ უჭერთ მხარს თამბაქოს რეკლამისა და პოპულარიზაციის აკრძალვას, გთხოვთ გვითხრათ, როგორ უნდა დარეგულირდეს აღნიშნული საკითხი?

1 (ჩაწერეთ) ----------
99 მიჭირს პასუხის გაცემა

B12. თუ თამბაქოს კოლოფებზე გამაფრთხილებელ წარწერებთან ერთად განთავსდება გამაფრთხილებელი სურათებიც, დაუჭერთ თუ არა მხარს აღნიშნულ ღონისძიებას? (აჩვენეთ პიქტოგრამის სურათი)

1. დავუჭერ მხარს
2. მეტ-ნაკლებად დავუჭერ მხარს
3. მეტ-ნაკლებადარ დავუჭერ მხარს
4. არ დავუჭერ მხარს

99 მიჭირს პასუხის გაცემა

B13.რამდენად ხშირად დადიხართრესტორანში, კაფე-ბარში ან სხვა საზოგადოებრივი კვების ობიექტში (მათ შორის - იგულისხმება ე.წ. დარბაზი)?

1. საშუალოდ კვირაში 1-ჯერ ან მეტად
2. საშუალოდ თვეში 1-ჯერ ან მეტად
3. საშუალოდი 3 თვეში 1-ჯერ ან მეტად
4. წელიწადში1-ჯერ ან მეტად
5. უფრო იშვიათად
6. არდავდივარ **გადადით კითხვაზე # B17**

B14.რომელი ტიპის სამასპინძლო ობიექტს სტუმრობთ ყველაზე ხშირად?

1. რესტორანი
2. კაფე/ბარი
3. კლუბი
4. სასადილო
5. საცერემონიო დარბაზი
6. სხვა (ჩაწერეთ)_____

99. მიჭირს პასუხის გაცემა

B15. ძირითადად რა მიზეზით დადიხართ რესტორანში, კაფე ბარში ან სხვა საზოგადოებრივი კვების ობიექტში (მათ შორის - იგულისხმება ე.წ. დარბაზი)?

1. საკვებად (სადილად, სავახშმოდ და ა.შ.)
2. დაბადების დღეებზე
3. მეგობრებთან დროის გატარების მიზნით
4. ქორწილში/ქელეხში/ნათლობაზე და სხვა რიტუალების გამო
5. სხვა (ჩაწერეთ)_____

99. მიჭირს პასუხის გაცემა

B16. რა რაოდენობის თანხას შეადგენს თქვენი ან თქვენი მომწვევი პირის საშუალო დანახარჯიპირადად თქვენზე რესტორნაში, კაფე-ბარში ან საზოგადოებრივი კვების ობიექტში თქვენი ერთი სტუმრობისას?*<u>(ინტერვიუერს: კითხეთ B14-ში დასახელებული ძირითადი მიზეზიდან გამომდინარე - ბოლო ვიზიტი)</u>*

1. 30 ლარი და ნაკლები
2. 30-50 ლარი
3. 50-100 ლარი
4. 100 ლარი და მეტი
5. სხვა (ჩაწერეთ) _____

99. მიჭირს პასუხის გაცემა

B17. თუ მოწევა კანონით აიკრძალება რესტორნების, კაფე ბარების და საზოგადოებრივი კვების სხვა ობიექტების ყველა *<u>შენობაში,</u>* ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დებულება გამოხატავს ყველაზე უკეთ თქვენს სავარაუდო ქმედებას/შეგრძნებას?

1. მეტ სიამოვნებას მივიღებ ამ დაწესებულებაში ვიზიტისას
2. ალბათ საბოლოოდ ეს კარგი იქნება ჩემთვისაც
3. ჩემთვის სულერთია, არაფერი შეიცვლება
4. მექნება დისკომფორტი და შევამცირებ ამ დაწესებულებებში ვიზიტებს
5. მექნება დისკომფორტი, მაგრამ თუ აკრძალვა საყოველთაო იქნება, საბოლოოდ მომიწევს შეგუება
6. სხვა (ჩაწერეთ)_____

99. მიჭირს პასუხის გაცემა

B18. როგორ ფიქრობთ, თუ მოწევა კანონით აიკრძალება რესტორნების, კაფე ბარების და საზოგადოებრივი კვების სხვა ობიექტების ყველა *<u>შენობაში</u>*,რამდენად შეიცვლება პირადად თქვენი ვიზიტების სიხშირე აღნიშნულ დაწესებულებებში?

1 მნიშვნელოვნადგაიზრდება
2 მეტ-ნაკლებად გაიზრდება
3 არ შეიცვლება
4 მეტ-ნაკლებად შემცირდება
5 მნიშვნელოვნად შემცირდება
99 მიჭირსპასუხისგაცემა

ზოგჯერ, ამგვარი გამოკითხვისას, ადამიანებმა შეიძლება შეიცვალონ ან დააზუსტონ საკუთარი მოსაზრება. ამიტომ მინდა განმეორებით გკითხოთ:

<u>კითხვებზე B19 და B20პასუხობენ მხოლოდ ის რესპონდენტები, რომლებმაც კითხვაზე B5 მიუთითეს პასუხის ვარიანტები „მეტ-ნაკლებად არ დავუჭერ მხარს“, „არ დავუჭერ მხარს“</u>

B19. თუკანონით აიკრძალება მოწევა რესტორნების, კაფე-ბარების და სხვა საზოგადოებრივი კვების ობიექტების *<u>შენობებში</u>*, დაუჭერთ თუ არა მხარს ამ აკრძალვას?

1. დავუჭერ მხარს
2. მეტ-ნაკლებად დავუჭერ მხარს
3. მეტ-ნაკლებადარ დავუჭერ მხარს
4. არ დავუჭერ მხარს

99 მიჭირს პასუხის გაცემა

B20. თუ კანონით აიკრძალება თამბაქოს რეკლამა და პოპულარიზაცია, დაუჭერთ თუ არა მხარს ამ აკრძალვას?

1. დავუჭერ მხარს
2. მეტ-ნაკლებად დავუჭერ მხარს
3. მეტ-ნაკლებადარ ვუჭერ მხარს
4. არ დავუჭერ მხარს

99 მიჭირს პასუხის გაცემა

C. მწეველობის სტატუსი

C1. ამჟამად ეწევით თუ არა თამბაქოს (სიგარეტი, სიგარა, ჩიბუხი, ელექტრონული სიგარეტი)?

1. დიახ
2. არა **გადადით კითხვაზე # C7**

88უარი პასუხზე **გადადით კითხვაზე # C7**

C2. ამჟამად ეწევით თუ არა თამბაქოს ყოველდღიურად?

1. დიახ
2. არა **გადადით კითხვაზე # C5**

99 მიჭირს პასუხის გაცემა **გადადით კითხვაზე # C5**

C3.რამდენი წლის წინ დაიწყეთ მოწევა ყოველდღიურად?

(ჩაწერეთ) -----

99. მიჭირს პასუხის გაცემა

C4. ქვემოთ ჩამოთვლილი თამბაქოს პროდუქტებიდან რამდენს ეწევით ყოველდღე საშუალოდ?

სამრეწველო წარმოების სიგარეტი	└┴┴┘ ღერი
ხელით დახვეული სიგარეტი	└┴┴┘ ღერი
თამბაქოთი დატენილი ჩიბუხი	└┴┴┘ (ჩიბუხების რაოდენობა)
სიგარის სხვადასხვა ტიპი	└┴┴┘ ცალი
ელექტრონული სიგარეტი	└┴┴┘ - ჯერ
სხვა (ჩაწერეთ) ----------	└┴┴┴┘

C5. გიცდიათ თუ არა თამბაქოს მოწევაზე თავის დანებება ბოლო 12 თვის განმავლობაში?

1. დიახ
2. არა **გადადით კითხვაზე #C9**
99 მიჭირს პასუხის გაცემა **გადადით კითხვაზე #C9**

C6. ბოლო 12 თვის განმავლობაში, თამბაქოს მოწევაზე თავის დანებების მცდელობისას ყველაზე ხანგრძლივად რამდენ ხანს არ ეწეოდით?

მიუთითეთ დღეების რაოდენობა----------
99. მიჭირს პასუხის გაცემა

C7. ოდესმე ეწეოდით თუ არა თამბაქოს?

1. დიახ
2. არა გადადაით **კითხვაზე #C9**
77. უარი პასუხზე **გადადით კითხვაზე #C9**

C8. რამდენი ხნის წინ შეწყვიტეთ თამბაქოს მოხმარება?

მიუთითეთ წლების რაოდენობა -------

C9. მოიხმართ თუ არა ამჟამად თამბაქოს რაიმე უკვამლო პროდუქტს, როგორიცაა მაგ: საყნოსი თამბაქო, საღეჭი თამბაქო?

1. დიახ
2. არა
77. უარი პასუხზე
99. მიჭირს პასუხის გაცემა

G. სოციალურ–დემოგრაფიული მახასიათებლები

G1სქესი:
1. მამრობითი
2. მდედრობითი

G2.ასაკი:
(ჩაწერეთ ზუსტი ასაკი)
_____

G3. ოჯახური მდგომარეობა:
1. ვარ დაოჯახებული
2. ვარ დაუოჯახებელი
3. ვარ ქვირივი
4. ვარ განქორწინებული
98. არც ერთი

G4. განათლების დონე:
1. წერა-კითხვის უცოდინარი
2. საბაზისო
3. არასრული საშუალო
4. საშუალო
5. სახელობო
6. არასრული უმაღლესი
7. უმაღლესი (ბაკალავრის და მაგისტრის ხარისხი)
8. დოქტორანტურა
98. არცერთი

G5. თქვენი სტატუსი დასაქმებასთან დაკავშირებით:

1. დასაქმებული
2. პენსიონერი
3. სტუდენტი, მოსწავლე
4. დიასახლისი
5. უმუშევარი
6. სამხედრო მოხელე
7. არცერთი

G6. შინამეურნეობის წევრთა რაოდენობა
(გთხოვთ მიუთითოთ, რამდენი წევრია თქვენს ოჯახში თქვენი ჩათვლით)

_____

G7.თქვენი ოჯახის ყოველთვიური შემოსავალი (გამომუშავებული ანაზღაურებების, სოციალური ან ახლობლების დახმარების, სასოფლო–სამეურნეო პროდუქციიდან მიღებული შემოსავალის ჩათვლით)
(მიუთითეთ ლარებში)
_____

G8. როგორ შეაფასებდით თქვენი ოჯახის სოციალურ მდგომარეობას?
1. ფულიყველაფერშიგვყოფნის. შეგვიძლიავიყიდოთრასაცმოვისურვებთ.
1. ფული საჭმელში და ტანსაცმელში გვყოფნის და შეგვიძლია ცოტა გადავინახოთ.
2. ფული საჭმელში და ტანსაცმელში გვყოფნის, მაგრამ გადანახვა არ შეგვიძლია
3. ფული ძლივს გვყოფნის.
4. ფული მხოლოდ ძირითადი მოთხოვნილებისთვის გვყოფნის.
99. მიჭირს პასუხის გაცემა